ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 23 ნოემბერი 2004 №273 (2294) ფასი 50 თეთრი

# წელი „წადის“ მერე

## შარშან ამ დროს: ჩვენი ცხოვრების საუკუნის ფინალი

## მი-შა!

### ქართული პოლიტიკის მესხი

რომლის ფინტებმა საქართველოს ბერლინის კედელი დაანგრია

# საქართველოს ნაკრები დამარცხდა



UEFA CHAMPIONS LEAGUE

ამ სანაკრებო ფეხბურთმა ერთი პირობა უკან გადასწია ჩემპიონთა ლიგა.

სანაკრებო ფეხბურთი გაისამდე გავაცილეთ და დღეიდან ისევ ჩავუსხდებით ლიგას. თანაც მთავარი ამბები ლიგის ჯგუფური ეტაპისა სწორედ ამ დღეებში უნდა განვითარდეს. დღეს და ხვალ მეხუთე, ბოლოსწინა ტურია, რაც ბევრ რამეს დაალაგებს. ზოგი ახლავე დაიგულებს თავს სამშვიდობოს, ზოგს კი ბოლო იმედიც გადაეწურება. მაგრამ ისიცაა, რომ, ღმერთმა ნუ ქნას, უკლებლივ ყველაფერი მეხუთე ტურში გაირკვეს — მაშინ ხომ ბოლო ტურს ინტრიგა მოაკლდება.

მომდევნო „სარბიელი“ გამოვა 25 ნოემბერს

# სპორტინგი დინამომდე რევოლუციას აღნიშნავს

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „დინამოს“ მეტოქე ლისაბონის „სპორტინგი“ თბილისს დღეს საღამოს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდება და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდება

ჟოზე პეშეირო ხელებს „ლოკომოტივზეც“ გაშლის

**კარგ დროს** კი უწევთ პორტუგალიელებს ჩვენთან სტუმრობა — რევოლუციის წლისთავზე, რის აღსანიშნავადაც სწორედ „ქორთიარდის“ წინ მდებარე თავისუფლების მოედანზე დღეს დიდი კონცერტია დაგეგმილი და ლისაბონელებს, დასვენებისა რა გითხრათ და, გართობის კარგი ვარიანტები კი ექნებათ. მით უმეტეს, რომ „სპორტინგს“ დღეს ვარჯიში არ დაუგეგმავს.

პორტუგალიელთა დელეგაცია დაახლოებით 50-კაციანი იქნება. მათ შორის კი ათი ჩვენი კოლეგაა. ჩანს, „დინამო“ — „სპორტინგის“ მატჩს დიდი ინტერესი გამოუწვევია.

„სპორტინგი“ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ხვალ შვიდის ნახევარზე ივარჯიშებს, მწვრთნელი ჟოზე პეშეირო კი იქვე პრესკონფერენციას გამართავს და მატჩამდელ ამბებზე იტყვის.

პეშეირომდე ჟურნალისტებს „დინამოს“ თავკაცი გია გეგუჩაძე შეგხვდება. შეგირდებს კი ის „ლოკომოტივზე“ რვა საათიდან ავარჯიშებს, „დინამო“ — „სპორტინგიც“ ხუთშაბათს სწორედ რვა საათზეა დანიშნული.

აქვე კი გეტყვით, რომ ტრავმების გამო „დინამოს“ ზეგ ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი დააკლდება. ნემსაძეს კუნთი აქვს დაჭიმული, გონჩაროვს კოჭი აწუხებს, კაშია მენისკზე ახალნაოპერაციევია, გრიგალაშვილმა კი თაბაშირი ახლახან მოიხსნა.

„სპორტინგის“ სათბილისო შემადგენლობა ჩვენთვის ჯერ უცნობია. ლისაბონელებმა შინაურ ჩემპიონატში ბოლოს გუშინწინ ითამაშეს, ისინი „ბეირა მარს“ სტუმრობდნენ და ქულას დასჯერდნენ — 2:2. ამჟამად „სპორტინგი“ პორტუგალიის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა.

**კობა ინასარიძე**

# შოთა და ზურა საგრაცეროდ ისვენებენ

არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსს“ მორიგი მატჩი 25 ნოემბერს აქვს — „ჩაფრები“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში ავსტრიულ „გრაცერს“ უმასპინძლებენ, თუმც ჩვენებურების თამაში ერთობ სათუოა.

„რეინჯერსმა“ ბოლოს 20 ნოემბერს ითამაშა შინ „სელტიკთან“ და მაშინ ორივე ქართველი გავიდა მოედანზე. ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებული იყო, მარცხენა ფეხის ცერა თითი ჰქონდა დაჩირქებული. „სელტიკთან“ მატჩის მერე კი ხიზანიშვილს არც უვარჯიშია და სავარჯიშოდ ოდენ ხვალ, „გრაცერთან“ მატჩის წინა დღეს შეუერთდება გუნდს. რაც შეეხება შოთა არველაძეს, მან გუშინ საზარდული იტკინა და ვარჯიში ამის გამო მიატოვა. მოკლედ, ზურა და შოთა ახლა ვერ ვარჯიშობენ და 25 ნოემბერს „გრაცერთან“ ან ითამაშებენ, ან ვერა.

**დავით თავართქილაძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა. XI ტური

ასტონ ვილა 1:0 ტოტენჰემი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

კოტბუსი 1:2 ალემანია

## იტალია

სერია B. XIV ტური

ვიჩენცა 1:2 ტორინო

სერია C1/A. XI ტური

პავია 1:1 გროსეტო

## პორტუგალია

სუპერლიგა. XI ტური

აკადემიკა 1:1 ბელენენსეში

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XIV ტური

ლიბერეცი 4:0 ტეპლიცე

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXXVI ტური

ლონგფორდი 3:1 დროჰედა

საქართველოს ჩემპიონატი 16
პირველი ლიგა
პირველი წრე
14 ტური

**ლოკომოტივი 2 2:2 გურია**

**დინამო 2 6:2 საგარეჯო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 14 | 12 | 1 | 1 | 42:16 | 37 |
| ამერი | 14 | 10 | 1 | 3 | 41:7 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 |
| სპარტაკი | 14 | 8 | 6 | 0 | 27:14 | 30 |
| კახეთი | 14 | 9 | 1 | 4 | 26:20 | 28 |
| დინამო 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 37:22 | 25 |
| ივერია | 14 | 5 | 5 | 4 | 14:15 | 20 |
| ცხინვალი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:20 | 18 |
| ჩიხურა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:18 | 17 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 4 | 4 | 6 | 18:21 | 16 |
| გურია | 13 | 4 | 3 | 6 | 12:20 | 15 |
| მილანი-მერანი | 13 | 4 | 1 | 8 | 18:25 | 13 |
| ოლიმპი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | 12 |
| რუსთავი | 14 | 3 | 1 | 10 | 15:29 | 10 |
| საგარეჯო | 14 | 1 | 4 | 9 | 13:38 | 7 |
| მალაროელი | 14 | 0 | 3 | 11 | 7:44 | 3 |

# პოკერი აუზიდან

## სპორტინგი უძლეველი არ არის

„დინამოს“ ფორვარდმა ლევან მელქაძემ გუშინწინ „ლოკომოტივს“ ოთხი გოლი გაუტანა, თანაც ერთ ტაიმში. ერთი კაცის ოთხი გოლი, თავისთავად, აღსანიშნი ამბავია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თავად გუნდის მოგებაც, „დინამოს“ ბოლო დროს გაუჭირდა და მელქაძის გოლებიც ერთგვარად კრიზისის დაძლევის დასაწყისადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ

— ჰეთ თრიქი რამდენჯერმე კი გამიკეთებია, მაგრამ პოკერი „ლოკომოტივამდე“ არ გამეტანა — გვითხრა ლევან მელქაძემ — არადა, ისეთი თამაში იყო, კაცი ვერ იფიქრებდა, 5:2 თუ დამთავრდებოდა. ძალიან მიხარია, რომ ამ მოგებაში ლომის წილი ჩემი იყო.

**— თუ გახსოვს, ჰეთ თრიქი ბოლოს როდის გააკეთე?**

— შარშან „ეროვნულზე“, ოზურგეთის „მერცხალთან“.

**— მოგება მოგებად და, როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე დაამარცხა „დინამომ“ „ლოკომოტივი“?**

— მატჩამდე ვერავინ იტყოდა, „დინამო“ ნაღდად მოიგებსო. სათანადოდ მომზადებულები კი ვიყავით, მაგრამ მეტოქეც ძლიერი გვყავდა, თანაც სტუმრად ვთამაშობდით. მოგებას მეტ-ნაკლებად კი ველოდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ოთხ ბურთს თუ შევაგდებდი. „დინამოს“ უპირატესობა კი ჩვენმა პირველმა, ლევან სილაგაძის გოლმა განაპირობა, მერე „ლოკომოტივი“ ანგარიშის გასათანაბრებლად ამოქმედდა და ჩვენც კონტრშეტევებზე ეფექტურად ვითამაშეთ.

**— „ლოკომოტივთან“ მოგება „დინამოს“ ერთგვარი ჩავარდნის დასასრულად ჩავთვალოთ?**

— ვფიქრობ, ასეა, ფეხბურთელებმა ძალები უკვე აღვიდგინეთ და ძველებურადაც ავთამაშდებით. ჩავარდნა კი ჩვენი გადაღლილობით აიხსნება. ჩემპიონატში და უეფას თასზე თამაშმა ბევრი ენერგია წაიღო. „დინამოც“ გადაიღალა, თუმც ამასწინდელმა პაუზამ სულზე მოგვისწრო და ჩვენც ძალების სრულად აღდგენა მოვახერხეთ. ნაკრები რომ შეიკრიბა, „დინამო“ აუზზე დადიოდა და აღდგენით პროცედურებს იტარებდა. როგორც „ლოკომოტივთან“ მატჩისას გამოჩნდა, ენერგია დაგვიბრუნდა.

**— თუმც ხუთშაბათს ისევ ბოლომდე უნდა დაიხარჯოთ. რას ფიქრობ „სპორტინგთან“ მატჩზე?**

— უეფას თასის ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი კიდევ გვაქვს და ვეცდებით, ეს გამოვიყენოთ. ექვსი ქულა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი იქნება. თუმც საამისოდ ჯერ „სპორტინგს“ უნდა მოვუგოთ, მერე ათენში „პანიონიოსს“. „სპორტინგთან“ ურთულესი მატჩისთვის მზად ვართ და მეტოქეს თავს შევაკლავთ. „სპორტინგი“ ნამდვილად არ არის „ნიუკასლის“ დონის გუნდი, თუმც, ზოგადად, პორტუგალიური ფეხბურთი რას წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით. მეტოქეზე ინფორმაციაც საკმაოდ გვაქვს, ახლახან „სპორტინგ“ — „პორტუს“ მატჩიც ვნახეთ და მეტოქის სიძლიერეში ერთხელაც დავრწმუნდით. მიუხედავად ამისა, სულაც არ ვფიქრობ, რომ „სპორტინგი“ ჩვენთვის უძლეველია. თუ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენეთ, მეტოქეს დავამარცხებთ.

**— „ლოკომოტივთან“ პოკერის შემდეგ „სპორტინგთან“ ძირითადში მოხვედრა, ალბათ, გარანტირებული გაქვს...**

— ეს უკვე აღარ ვიცი. სასტარტოში ვიქნები თუ არა, ამას მწვრთნელი ხუთშაბათს იტყვის.

**კობა ინასარიძე**

ლევან მელქაძე „სპორტინგისთვის“ ემზადება

# გიორგი ქინქლაძე: ისე უნდა ავთამაშდე, ნაკრებში გამომიძახონ

გიორგი ქინქლაძემ თავისი პირველი კვიპროსული გოლი გაიტანა. 31 წლის ქინქლაძემ პირველად ითამაშა „ანართოსისის“ ძირითადში, რაც გოლით აღნიშნა. შეგახსენებთ, ამ გუნდში ხუთი ქართველია, „აპოელთან“ კი ოთხმა მათგანმა ითამაშა. ქინქლაძეს გუშინ დავურეკეთ და ჯერ ის ვკითხეთ, პირველი კვიპროსული გოლი როგორ შეაგდო...

— მეტოქის საჯარიმო მოედანში, 11-მეტრიანის ნიშნულთან ვიდექი, როცა მარჯვნიდან ჩამოაწოდეს და ცაციათი ერთი შეხებით გადავგზავნე ბურთი კარში.

**— 88-ე წუთზე შეგცვალეს, თითქმის მთელი მატჩი ითამაშე და არ გაგიჭირდა?**

— გამიჭირდა, მაგრამ მთლად უთამაშებელი არ ვიყავი — მანამდე ხუთჯერ ვითამაშე შეცვლაზე.

**— რაც შეცვლაზე შედიოდი, მეტწილად თემურ ქეცბაიას ცვლიდი, „აპოელთან“ კი ორივე სასტარტოში იყავით — რა პოზიციებზე თამაშობდით?**

— მე გამთამაშებლად, ქეცბაია კი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე.

**— ქეცბაია, როგორც გუნდის მწვრთნელი, შენი თამაშით კმაყოფილი დარჩა?**

— ჰო, ნორმალურად ვითამაშე, თუმც კარგი იქნებოდა, მოგვეგო.

**— ახლა უკვე ახლოს ხარ ოპტიმალურ ფორმასთან?**

— ამას ერთი თამაშით ვერ შეაფასებ. ისე კი, კვიპროსის ჩემპიონატში ისეა, რომ ზამთრის შესვენება მხოლოდ ორი კვირაა და, რა თქმა უნდა, გუნდები შეკრებაზე არ გადადიან.

**— ჩვენი ნაკრების დანიასთან თამაშს უყურე?**

— ვუყურე და ჩვენებმა ისევე იბრძოლეს, როგორც წინა თამაშებში — იგრძნობოდა, რომ არ წავაგებდით. დანია სერიოზული გუნდია და ფრით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ, ხოლო შოთას და დემეს ერთმანეთისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, იქნებ მოგვეგო კიდეც.

**— მალხაზ ასათიანზე რას იტყოდი?**

— ის მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო.

**— შენი უახლოესი მიზანი ნაკრებში დაბრუნებაა?**

— მთავარია, კვიპროსის ჩემპიონატში ისე ვითამაშო, რომ ნაკრებში გამომიძახონ.

**დავით თავართქილაძე**

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2:5 | დინამო |
| თბილისი | 0:2 | ვიტ ჯორჯია |
| ტორპედო | 5:0 | სიონი |
| ზესტაფონი | 2:1 | ბათუმი |
| კოლხეთი | 4:0 | დილა |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი — მეორე წრე — 16 ტური

# ქეიფი დიეტის მერე
## მელქაძემ კარგად ითამადა

აი, სეზონის პირველი პოკერიც — დინამოელმა ლევან მელქაძემ ოთხი გოლი გაუტანა „ლოკომოტივს". თამაში ისეთი იყო, არ მოიწყენდი და მელქაძის გოლები რომ არა, საუკეთესო ფეხბურთელის გამორჩევა გაგვიჭირდებოდა.

„ღრეჯო" ერთადერთია მე-16 ეროვნულში, პოკერი რომ შეასრულა და თან ვისთან — „დინამო" ხომ „ლოკომოტივს" 2004 წელს ხუთჯერ შეხვდა და ერთხელაც ვერ გაუტანა.



# პირად-გუნდური თბილის-ქუთაისური

არავის ეწყინოს და, როცა „დინამო" და „ტორპედო" ეჭიდებიან ერთმანეთს, ჩემპიონატს სხვანაირი ეშხ-ლაზათი აქვს. ასეა ახლაც. ქუთაისელები ლიდერობენ, თბილისელები კი მათ კუდში მისდევენ.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11-მეგრელაძე | ტორპედო |
| 10-მელქაძე | დინამო |
| 8-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |

თუმც „ტორპედო" სატურნირო ცხრილის გარდა ერთ ნომინაციაშიც ჯობნის „დინამოს" — მე-16 ტურის მერე გია მეგრელაძე ბომბარდირებს უდგას სათავეში.

ამ ტურში უმცროსმა მეგრელაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა, დინამოელმა ლევან მელქაძემ პოკერი. საქმე კი ამგვარადაა — ქუთათური ერთი გოლით უსწრებს თბილისელს.

# ჰოი, წმინდაო გულუბრყვილობავ...

„ლოკომოტივმა" კეთილ საქმეს რომ მოჰკიდა ხელი, ადრეც გვითქვამს. კლუბის ხელმძღვანელობა საშინაო მატჩებზე მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეპატიჟება და ასე იყო გუშინწინ „დინამოსთან" თამაშზეც.

მატჩის დაწყებამდე ბავშვების მეთვალყურე ქალბატონმა იკითხა, აბა, ბავშვებო, ვის უნდა უქომაგოთ დღესო და... დინამოსო, მიიღო პასუხი. ქალბატონს სახე ეცვალა და მცირედი დაბნეულობის მერე ბავშვებს ჭკუა დაარიგა – ჩვენი მასპინძელი „ლოკომოტივია" და ამ გუნდს უნდა დავუჭიროთ მხარიო.

ცარიელ ტრიბუნებს დაჩვეულ მდუმარე „ლოკომოტივს" მთელი მატჩის განმავლობაში ბავშვების ქომაგობა ახმაურებდა.

# ფული ყველაზე ძლიერი ფორვარდი

გახსოვთ, საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატი როგორ დაიწყო?

გახსოვთ, პროფლიგის პოზიცია, რასაც ორი უმაღლესლიგელი, „რუსთავი" და „ქობულეთი" შეეწირა?

გახსოვთ, რატომ? პროფლიგამ უმაღლესლიგელებს და პირველი ლიგიდან აღზევებულ ორ გუნდს შეუთვალა, საბანკო ანგარიშზე 300 ათასი ლარის არქონის შემთხვევაში უმაღლესში თამაშის იმედი ნუ გექნებათო. ეს მოთხოვნა სწორედ „რუსთავმა" და "ქობულეთმა" ვერ დააკმაყოფილეს და პროფლიგამაც ეს გუნდები მოკვეთა. თუმც მაშინვე გაჩნდა ეჭვი — უმაღლესში დარჩენილ ყველა გუნდს მოეძებნება კი 300 ათასი ლარი?

ახლა კი ისეა საქმე, ის ძველი ეჭვები დადასტურების პირზეა. პროფლიგამ უმაღლესლიგელების ფინანსური მდგომარეობა რომ შეამოწმოს, ათიდან სამ-ოთხ გუნდს 300 ათას ლარს ან ამის ნახევარს კი არა, ანგარიშზე, რომ იტყვიან, კაპიკებს თუ უპოვის. უფრო კონკრეტულად ვთქვათ — „ბათუმი" და „სიონი" ისეთ დღეში არიან, კაცი მტერს არ უსურვებს.

ბათუმელებს, რომლებმაც სეზონი რიხით დაიწყეს, უკვე ორი თვეა, ხელფას-პრემიები არ მიუღიათ და ბოლოდროინდელი მარცხიანობაც ამის შედეგია: ექვსი თამაშია, ვერ მოუგიათ. ბოლნისელები კი გუშინწინ ქუთაისში თამაშს არ აპირებდნენ და ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა არც ითამაშა.

# რევოლუციის თანამგზავრი
## ჯორჯიული შემთხვევითობა



შარშან, 22 ნოემბერს, ლუის ცაკარიასის „ლოკომოტივმა" „ვიტ ჯორჯიას" 2:1 მოუგო, მაგრამ ეს მოგება „ვარდების რევოლუციამ" დაჩრდილა. რევოლუციის წლისთავზე საქართველოში დაბრუნებული ლუის ცაკარიასი ამჯერად უკვე „თბილისის" მწვრთნელი გახდა და მიჯრით ორი გამარჯვების შემდეგ პირველი მარცხი „ვიტ ჯორჯიასთან" იგემა. და კიდევ, შარშანდელივით „თბილისი" — „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრის მსაჯი მერაბ მალალურაძე იყო.

### სიმბოლური ნაკრები

| | | | |
|---|---|---|---|
| | ლევან მელქაძე (დინამო) | გია მეგრელაძე (ტორპედო) | მერაბ ძოძუაშვილი (კოლხეთი) |
| დავით კვირკველია (დინამო) | დავით ბოლქვაძე (ტორპედო) | ლევან კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | გიორგი თოდუა (კოლხეთი) |
| დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია) | ალექსანდრე ინწკირველი (ვიტ ჯორჯია) | | გიორგი შაშიაშვილი (დინამო) |
| | ზვიად სტურუა (ტორპედო) | | |

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

### მომდევნო ტური

28 ნოემბერი, კვირა

თბილისი – ლოკომოტივი

ბათუმი – კოლხეთი

სიონი – ზესტაფონი

დილა – დინამო

ვიტ ჯორჯია – ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 10 | 5 | 1 | 27:8 | 35 |
| დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 35:18 | 33 |
| თბილისი | 16 | 9 | 3 | 4 | 33:19 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 4 | 4 | 28:19 | 28 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 7 | 3 | 21:12 | 25 |
| ბათუმი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:15 | 22 |
| ზესტაფონი | 16 | 5 | 1 | 10 | 12:33 | 16 |
| კოლხეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:23 | 15 |
| სიონი | 16 | 3 | 2 | 11 | 13:38 | 11 |
| დილა | 16 | 2 | 2 | 12 | 11:31 | 8 |

# სიცივეში ცხრილიც იკუმშება

## თხლად დაჭრილი ქართული ამბები

*ზამთრის მოახლოვებასთან ერთად ლეგიონერული ამქარიც თანდათან შეგვითხელდა და მოსაყოლიც ადრინდელივით ბევრი არ არის, თუმც ამ უქმეებზე რამდენიმე გამოსარჩევი ამბავი მაინც მოხდა...*

***ბუნდესლიგით დავიწყოთ.*** *ლევან კობიაშვილის* „შალკე“ ისევ მყარად დგას ფეხზე და ამჯერად კერკეტი „ლევერკუზენი“ გატეხა. გელზენკირხენელებმა სტუმრად 3:0 მიანგრიეს მეტოქე, ჩვენებური კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. კობიაშვილმა კვლავაც საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, თუმც მატჩის მიწურულს მწვრთნელმა მარცხენა ფლანგი გადააბარა და ლევანს არც იქ შეურცხვენია თავი.

სულს ღაფავს „ფრაიბურგი“, *ალექსანდრე იაშვილისა* და *ლევან ცქიტიშვილის* გუნდი „დორტმუნდს“ შემოემარცხა და ძნელი სათქმელია, რა იხსნის ფრაიბურგელებს.

აქვე ვთქვათ, რომ ბუნდესლიგიდან სამი გუნდი ვარდება, „ფრაიბურგი“ კი ბოლოდან მეორეა.

***ბოლო ათ დღეში ზედიზედ მეორე „ოლდ ფირმი“ მოიგო „რეინჯერსმა“.*** „ჩაფრებმა“ ახლახან, თასზე *შოთა არველაძის* გოლით დაამარცხეს მოსისხლეები, ახლა კი პრემიერლიგაშიც ღირსეულად გაუსწორდნენ. *ზურაბ ხიზანიშვილი* 71-ე წუთზე შეცვალეს, შოთამ კი მეორე ტაიმი ითამაშა.

ცოტა ხნის წინ საჩემპიონო ბრძოლიდან ჩამოწერილ „რეინჯერსს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა და უკვე ერთი ქულითლა ჩამორჩება ლიდერ „სელტიკს“.

***გიორგი ქინქლაძემ პირველი კვიპროსული გოლი გაიტანა.*** „ანართოსისის“ ქართველმა ახალწვეულმა 31-ე წუთზე გაუტანა აპოელს, თუმც მასპინძლებმა ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს — 1:1 და „ანართოსისმა“ ლიდერობა დაკარგა.

***პირველი პლოცკური გოლი შეაგდო მამია ჯიქიამაც,*** ვისაც რამდენიმე დღის წინ ალენ ჟირესის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, თუმც წარმატებულიო, ნაღდად ვერ ვიტყვით. ჯიქიამ ჩვენთვის კარგად ნაცნობ „ლეგიასთან“ გამოიჩინა თავი. პლოცკელებმა კი მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს, 1:2 დამარცხდნენ და მერვე ადგილამდე დაქვეითდნენ.

***ქართული გოლების თემას დავით მუჯირით გავაგრძელებთ.*** გრაცის „შტურმმა“ შინ „ზალცბურგი“ 3:1 დაამარცხა და ამ საქმეში ჩვენებურმაც თქვა თავისი სიტყვა — „მუმუმ“ ერთი გოლი გაიტანა, 76-ე წუთზე კი შეცვალეს. სხვათა შორის, „შტურმის“ საქმეები ბოლოხანს უკეთ მიდის — გუნდმა მოგებები დაიწყო და უკვე სახიფათო ზონასაც დააღწია თავი.

***ერთი გამოსარჩევი ამბავი უკრაინაშიც მოხდა. ალექსანდრე ამისულაშვილმა*** პირველი ოფიციალური 90 წუთი ჩაატარა კიევის „დინამოში“. თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „დინამომ“ 4:0 დაამარცხა „ვოლინი“ და ნახევარფინალში გავიდა. ამისულაშვილმა კი, როგორც იქნა, სურვილი აისრულა და ძირითადში ითამაშა. ენდობა თუ არა მწვრთნელი ჩვენებურს მომავალშიც, ძნელი სათქმელია — ეს ყველაფერი უკრაინის ჩემპიონატის დარჩენილ ტურებში გამოჩნდება.

**ძაბა შალამბერიძე**

ზურაბ ხიზანიშვილი და „ოლდფირმული“ ვნებები: ქართველი განზე არ გადგება




შემარცხენე-ცენტრისტმა ლევან კობიაშვილმა „ლევერკუზენთანაც“ კარგად იმუშავა

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პალერმო 2:1 | 0 | | | | |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ლევერკუზენი 3:0 | 90 | | 12 | 2 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:2 | 90 | | 12 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:2 | 90 | | 10 | 1 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | კიოლნი 0:1 | 0 | | 8 | 1 | 11 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | კარლსრუე 0:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | სელტიკი 2:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | სელტიკი 2:0 | 71 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ზალცბურგი 3:1 | 76 | 1 გოლი, შეცვალეს | 17 | 4 | 9 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | იონიკოსი 0:2 | 0 | | 3 | 0 | 16 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | კერკერა 0:3 | 90 | | 7 | 0 | 4 |
| **უკრაინა. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | ვოლინი 4:0 | 90 | | | | |
| გია ჭანტურია | ტავრია | შ | შახტარი 0:4 | 0 | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | შახტარი 0:4 | 90 | | | | |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ელაზიგი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ლეგია 1:2 | 90 | 1 გოლი | 12 | 1 | 8 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | პირინი 3:0 | 90 | | 14 | 4 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | სლავია 1:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 8 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | სლავია 1:3 | 90 | | 7 | 0 | 8 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | ნესებრი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპოელ 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 1 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | აპოელ 1:1 | 88 | 1 გოლი, შეცვალეს | 6 | 1 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აპოელ 1:1 | 68 | შეცვალეს | 8 | 2 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აპოელ 1:1 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | შ | აპოელ 1:1 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აელ 2:2 | 89 | შეცვალეს | 8 | 3 | 12 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | ს | აელ 2:2 | 87 | შეცვალეს | 8 | 1 | 12 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | დიგენისი 1:0 | 59 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# შარშანწინდელიც კი გვახსოვს...

## ლონდონელ მეთოფეებს ბლატერიც ემხრობა

*„არსენალს" ოთხშაბათს, ანუ ხვალ ჩემპიონთა ლიგაში „პსვ ეინდჰოვენთან" აქვს თამაში, მაგრამ ამჯერად თქვენი ყურადღება ფეხბურთზე მეტად რასიზმს გვინდა მივაპყროთ: ეინდჰოვენის სტადიონი ეს სარბიელია, სადაც ორი წლის წინ „მეთოფენი" ლანძღეს, დღეს კი, მოგეხსენებათ, რასიზმის თემა გამწვავებულია, რადგან ერთი კვირის წინ მადრიდში, ესპანეთის და ინგლისის ნაკრებების შეხვედრის დროს ინგლისელ ფერადკანიან მოთამაშეებს გადახდათ თავს დიდი გინება. მოკლედ, „არსენალი" მორიგი აგრესიის შემთხვევაში მოედნის დატოვებას აპირებს და ამ საკითხში თვით ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი უჭერს მხარს*

„ჩვენ მოედანზეც და მის გარეთაც დისციპლინა და პატივისცემა გვჭირდება, ამიტომ საგანგებო ინსტრუქციებს გავცემთ. თუ მატჩის განმავლობაში იგივე მოხდება, რისი მოწშენიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" შევიქენით, „არსენალის" მხრივ პროტესტის ნიშნად მოედნის დატოვება სრულიად გასაგები და გასამართლებელი იქნება".

შემდეგ ბლატერმა ბრძანა, რომ ესპანეთში ინგლისელებს მოედანი რომ დაეტოვებინათ, იგი მხარს დაუჭერდა.

„შოკში ვიყავი და დღესაც დაზაფრული გახლავართ. რასიზმის ახალმა ამოფრქვევამ დამიმძიმა გული, მით უფრო, რომ ეს იმ სტადიონზე მოხდა, ფეხბურთის ტაძრად რომ მიმაჩნია. ვერაფრით ამიხსნია ეს ყველაფერი".

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის ოქტომბერში „პსვ ეინდჰოვენი" დასავეს, მაგრამ მხოლოდ 22 500 ინგლისური გირვანქით. იმ დღეს „არსენალმა" 4:0 მოიგო, ტიერი ანრის კი ტრიბუნიდან საგნები დაუშინეს.

„მე მადრიდში ტრიბუნებისთვის არ მისმენია, მაიმუნს რომ მადარებდნენ, მაინც თამაშზე ვფიქრობდი" — ეს კი „არსენალისა" და ინგლისის ნაკრების მოთამაშემ ეშლი კოულმა განაცხადა.

საერთოდ, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ახალი წესები შემოიღო — მსაჯებს მატჩის შეწყვეტის უფლება აქვთ. ამ წესით ოქტომბერში მსაჯმა რენე ტიმინკმა ისარგებლა და „დენ ჰაგისა" და „პსვ ეინდჰოვენის" შეხვედრა შეწყვიტა.

ხოლო კოული ისევ მადრიდში მომხდარს უბრუნდება და ყველაფერს ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს, ლუის არაგონესს აბრალებს:

„მე თუ მკითხავთ ყველაფერი არაგონესმა დაიწყო, ხოლო როდესაც მწვრთნელი ასეთია, ხალხი ბუნებრივია, შესაბამისად მოიქცევა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იგი თავიდან უნდა მოიშოროს".

შეგახსენებთ, რომ არაგონესმა ოქტომბერში ტიერი ანრი გალანძღა.

**პაპუნა კედია**

# კიდევ ერთი შავი საქმე

## დუაიტ იორკი ივუდ პარკზე გამოლანძღეს

**დუაიტ იორკსა და რასისტ ფანს შორის პოლიცია ჩადგა**

**„ბირმინგემის"** ბოსმა სტივ ბრიუსმა განაცხადა, რომ ბლეკბერნის „ივუდ პარკზე" მის ფეხბურთელს, დუაიტ იორკს რასისტული შეძახილებით შეხვდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ორი ფანი, რომლებმაც ტრინიდადელს შეცვლაზე შესვლის წინ უკადრებლები აკადრეს.

თავად თამაში 3:3 დასრულდა, „ბლეკბერნმა" კი აღიარა, რომ ერთ-ერთი ფანი ამოცნობილია და გამოძიებაც მიმდინარეობს.

ეს ამბავი მოხდა ესპანეთ-ინგლისის თამაშიდან ოთხი დღის თავზე. გავიხსენოთ, რომ ინგლისელებმა ბრალი დასდეს ესპანელ გულშემატკივრებს რასობრივ შეძახილებში და სკანდალი დღემდე გრძელდება. ეშლი კოულმა და მისმა არსენალელმა კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ მწვრთნელ ლუის არაგონესის გადაყენებაც კი მოსთხოვეს ესპანეთის ფეხბურთის მამებს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცოტახნით ადრე არაგონესმა ტიერი ანრისადმი რასობრივი გამონთქვამაბით სცადა თავისი ფეხბურთელების გამხნევება ვარჯიშზე.

რაც შეეხება იორკს, მას მოთელვაზეც საშინლად შეხვდნენ ფანები. მიზეზი მარტივია, ინგლისში არ უყვართ, როცა ფეხბურთელი გულცივად, ანდა რაღაცის მი ქარვით გადადის ერთ კლუბიდან მეორეში. იორკი კი „ბლექბენიდან" სწორედ წლეულს გადავიდა „ბირმინგემში". ამ საქმეს, იორკის კანის ფერის შეურაცხყოფის ამბავს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც ჩაუჯდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

*ბოლო ორი კვირის განმავლობაში გერმანელი ფეხბურთზე მწერლები ერთთავად მიუნხენის „ბაიერნის" მიერ მუქთად ნაშოვნი ოცი წლის პერუელებს ხოსე პაულო გერეროს შესახებ ღაღადებენ. ეს ტანშორჩილი ქაბუკი ფელიქს მაგათი ოთხ საბუნდესლიგო შეხვედრაში შეუშვა შეცვლაზე და მანაც უკვე ოთხი ბურთის გატანა შეძლო. თუკი გერეროს მიერ ამ ოთხ შეხვედრაში მოედანზე გატარებულ დროს დავაჯამებთ, გამოვა, რომ ოთხი ბურთის შესაგდებად მას სულ რაღაც 107 წუთი დასჭირდა. ეს კი — არც მეტი, არ ნაკლები — ბუნდესლიგის რეკორდი ყოფილა*

# ბაიერნის ჯოკერი

## გერეროს გოლები მიულერმა ასწავლა

**პაულო გერერო**

**როგორც** სტატისტიკა გვაცნობს, აქამდე ოთხი ბურთი ყველაზე სწრაფად 60-იან წლებში მანფრედ ვუტიხს შეუგდია — მას საამისოდ თურმე გერეროზე ოცი წუთით მეტი დასჭირდა. შესადარებლად: ჰორსტ ჰრუბეშმა თავისი უსწრაფესი ოთხგოლეული 211 წუთში მიითვალა, როცა ჯერაც „ესენში" თამაშობდა, ჰამბურგელმა უვე ზეელერმა იმავეს 322 წუთი მოანდომა, ხოლო ლეგენდარულმა ბაიერნელმა, მეგოლეთა მეგოლე გერდ მიულერმა საამამბოდ 324 წუთი დახარჯა.

სხვათა შორის, გერერო, ვინაც ორი წელი „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში დაჰყო, თავის უპირველეს მასწავლებლად სწორედ გერდ მიულერს მიიჩნევს — ყველაზე მეტად მისი მადლიერი ვარ, ყველაფერი სწორედ მან მასწავლაო. ნაშეგირდალის მისამართით თბილ სიტყვებს არც თავად 365 ბუნდესლიგური და 62 სანაკრებო მატჩში 68 გოლის შემდგები მიულერი იშურებს:

„ის ძალიან ძლიერ მოთამაშედ ჩამოყალიბდა და ზრდა ჯერაც არ შეუწყვეტია. ორივე ფეხით თანაბრად კარგად ურტყამს და თავურებიც რიგიანი გამოსდის. ნამდვილი მეგოლეა, მეგოლისთვის აუცილებელი გეში აქვს და ყოველთვის იქ არის, სადაც ბურთი უნდა მივიდეს. რაც მთავარია, უშიშარი ბიჭია და უხისტეს ორთაბრძოლებსაც არ ერიდება. „ბაიერნი" ძალიან ბედნიერია, ასეთი მოთამაშე რომ ჰყავს."

მაგრამ ფელიქს მაგათი გერეროს მაინც უფრო შეცვლაზე ენდობა. რატომ?

„იმიტომ, რომ პაულო ჩვენი ჯოკერია. ჯოკერს კი უმეტესად პარტიის ბოლოსკენ იყენებენ ხოლმე" — პასუხობს მაგათი და ჯერ-ჯერობით არც გაემტყუნება.

**ლევან კელაურაძე**

# როგინიო ჩელსის მიჰყავს

**ბრაზილიური** „სანტოსის" ყრმა ვარსკვლავმა რობინიომ შინ თამაშზე გული მას შემდეგ აიყარა, რაც გამოსასყიდის მიზნით დედა მოსტაცეს. ახლა კი ირკვევა, რომ რობინიოზე მონადირე ევროპულ კლუბებს შორის „ჩელსი" ლიდერობს. აქამდე ლიდერად „რეალი" ითვლებოდა, თუმცა „ჩელსი" ერთადერთია, „სანტოსისგან" დაწესებულ 14 მილიონი გირვანქის გადახდაზე რომაა ყაბულს.

რობინიოს აგენტი ვაგნერ რუბიერო აცხადებს: „ჩვენ საქმეს ვჩარხავთ, სწორედ „ჩელსისთან" ვთანამშრომლობთ."

დედამოტაცებული, სამშობლოს მისატოვებლად გამზადებული 20 წლის ვარსკვლავი ალბათ იანვრიდან უკვე ევროპაში იქნება. „მილანი", „ბაიერნი", „რეალი"- მაგრამ ალბათ მაინც „ჩელსი". ჟოზე მაურინიუს ძალიან ნდომებია ბრაზილიელი. მის ყოფილ კლუბში, „პორტუში" უკვე თამაშობს რობინიოს სანტოსელი თანავარსკვლავი დიეგო. სწორედ ამ ორმა თინეიჯერმა აქცია მივიწყეული „სანტოსი" ბრაზილიის მოწინავე გუნდად.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### მონაკო — ლივერპული

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| რომა, მაიკონი, სკილაჩი, გივუ, ევრა, ზიკოსი, დ. პერესი, პლასილი, ჩევანტონი, სავიოლა, ნონდა | კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, ფინანი, ჯერარდი, ხაბი ალონსო, რიისე, ლუის გარსია, კიუელი |

მსაჯი: ულაუს-ბო ლარსენი (დანია)

### ოლიმპიაკოსი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, შურერი, ვალასი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი, ჯოვანი, ოკასი | მოლინა, მანულ პაბლო, ექტორი, მ. სესარი, რომერო, ვიქტორი, დუშერი, მაურო სილვა, ფრანი (მუნიტისი), ვალერონი, ლუკე |

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

## B ჯგუფი

### რეალი — ლევერკუზენი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, სამუელი, პავონი (ელგერა), რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო | ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, შნაიდერი, რამელო, ფრაიერი, პლასენტე, კრუინოვეკი, ვორონინი, ბერბატოვი |

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

### დინამო — რომა

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| შოვკოვსკი, როდოლფო, საბლიჩი, გავრანჩიჩი, ელ კადური, რინკონი, გიოანე, ო. გუსევი, იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი | პელიცოლი, სარტორი, დელასი, ფერარი, კუფრე, აკილანი, დაგოსტინო, პეროტა, კანდელა, კასანო, მიდო |

მსაჯი:მაიკ რაილი (ინგლისი)

# კოჭლი დეპორტივო

დიეგო ტრისტანი

„დეპორტივომ" „ოლიმპიაკოსს" აუცილებლად უნდა მოუგოს, რათა გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის მცირედი შანსი დარჩეს, თუმც მერვედფინალში გასვლა ახლა მხოლოდ ირურეტას შეგირდთა სიჩაუქეზე აღარაა დამოკიდებული.

ელინთა დაჯაბნა ლაკორუნიელებს ალბათ გაუჭირდებათ. საქმე ისაა, რომ დიეგო ტრისტანმა შაბათს „ვილიარეალთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ხავიერ ირურეტას მეტი გზა არ აქვს, მის ნაცვლად ლუკე უნდა ათამაშოს, რომელსაც მუხლი ბოლომდე არ მორჩენია. დაშავებულია ურუგვაელი შემტევი ვალტერ პანდიანიც. გარდა ამისა, ირურეტა ცვლილებებს დაცვაშიც განახორციელებს. დისკვალიფიცირებული ჟორჟე ანდრადეს ნაცვლად ექტორს ვიხილავთ. ექტორი სესართან ერთად დაცვის ცენტრს გაძლიერებს, ხოლო მანუელ პაბლო და ენრიკე რომერო ფლანგებზე ითამაშებენ.

სტუმართაგან განსხვავებით, ბერძნები მერვედფინალთან ახლოს არიან. ამის მისაღწევად დუშან ბაევიჩის შეგირდებმა დღევანდელ მატჩში „დეპორი" უნდა დაამარცხონ, „ლივერპულმა" კი სტუმრად „მონაკოს" მოუგოს.

გავიხსენოთ, რომ საამსეზონო ლიგის პირველი შეხვედრა „ენფილდზე" „ლივერპულის" გამარჯვებით (2:0) დასრულდა. ჯიბრილ სისესა და მილან ბაროშის გოლებმა „მონაკოს" „ოქროს სერია" შეწყვიტა — იქამდე ფრანგებს ბრიტანეთში ზედიზედ 4 შეხვედრა არ წაეგოთ.

„მონაკომ" კი ინგლისური გუნდები მშობლიურ არენაზე 4-ჯერ მიიღო — ორჯერ გაიმარჯვა, ერთხელ წააგო და ერთხელაც ფრეს დასჯერდა.

დღეს ფრანგები ტრავმირებულ ლუკას ბერნარდის და ჟულიან როდრიგესს მოისაკლისებენ, მიუხედავად ამისა, დიდიე დეშანი სამი ქულის მოპოვებას გეგმავს: „ლივერპულთან" ძნელი მატჩი გველის, თუმც ყველა ჩვენი მოთამაშე სტადიონზე გამარჯვების დიდი სურვილით გავა. ქულების დაკარგვით პრაქტიკულად მერვედფინალში გასვლის შანსსაც ვკარგავთ" — განაცხადა ფრანგთა დამრიგებელმა.

„ლივერპულს" ჯიბრილ სისე, ანტონიო ნუნიესი და მილან ბაროში დააკლდებიან, მაგრამ რაფაელ ბენიტესი უამათოდაც ეცდება ფონს გასვლას: „ვეცდებით, „მონაკოსთან" მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდეს. ჩემი აზრით, დიდი უპირატესობა „ლუი მეორეზე" არც ერთ გუნდს არ ექნება" — ივარაუდა ბენიტესმა, ინგლისელების ესპანელმა მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 0 | 2 | 2 | 0:3 | 2 |

დიდიე დეშანი და რაფაელ ბენიტესი



# რაული დი სტეფანოს მიუჩოჩდა

## ტოტი ჯიევში ოჯახმა არ გაუშვა

საქმე ასეა: B ჯგუფის გუნდებს არავინ აღიქვამს ჩემპიონთა ლიგის მოგების ფავორიტებად. საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა", რომელიც თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ ხმად ერისა, გუშინ ახალი კოეფიციენტები გამოაქვეყნა. ამ კოეფიციენტთა თანახმად, „რეალი" ფავორიტთა შორის მერვე ადგილზეა, „ლევერკუზენი" — მეცამეტეზე, კიევის „დინამო" მეცხრამეტეზე, „რომა" კი „ჰილმა" მოხსენიების ღირსად საერთოდ არ ჩათვალა.

მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ახლა შემოდგომაა, თასისთვის გადამწყვეტი ბრძოლები კი გაზაფხულზე იქნება, იქამდე კი...

თუმცა სიტყვა გაგვიგრძელდა და დღევანდელ ტურს მივხედოთ.

„რეალისა" და „ლევერკუზენის" შეხვედრაში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის შანსი არ აქვს, რობსონ პონტე გახლავთ. ლევერკუზენელი დისკვალიფიკაციას იხდის. მის გარდა არც ერთ გუნდში და არც მეორეში, არც დისკვალიფიცირებულია ვინმე და არც მძიმედ დაშავებული. ივან ელგერას და ლუიშ ფიგუს მცირე ტრავმები კი აწუხებთ, მაგრამ არც ისეთი, თამაში ვერ შეძლონ.

ფავორიტი, რა თქმა უნდა, „რეალია", რომლის სასარგებლოდაც სტატისტიკაც მეტყველებს: მადრიდელებს შინ ზედიზედ 13 საევროთასო მატჩი არ წაუგიათ, ამათგან 11 კი მოიგეს. ამის საპირისპიროდ, „ლევერკუზენს" სტუმრად გამართული ბოლო 7 მატჩიდან ექვსი წაგებული აქვს. მატჩისწინა განწყობა კი ამ კომენტარებიდანაც ჩანს. კლაუს აუგენტალერი: „ფავორიტად არავინ გვთვლის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ უკეთესი გუნდი გვყვას. ვეცდებით, „რეალის" დამარცხების კიდევ ერთი შანსი გამოვიყენოთ". მოგეხსენებათ, ჩემპიონთა თასის ფინალში დამარცხების მერე ლევერკუზენელებმა ჯავრი ორი თვის წინ იყარეს და მეტოქეს 3:0 მოუგეს.

დევიდ ბექემმა კი თქვა : „პირველ რიგში ჩვენ „კამპ ნოუზე" მარცხი გვაქვს დასავიწყებელი. თუ „ლევერკუზენს" დავამარცხებთ, კმაყოფილების გრძნობა დაგვიბრუნდება".

და ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც: თუ დღეს რაულმა გოლი გაიტანა, ალფრედო დი სტეფანოს ორმოციოდე წლის წინანდელ რეკორდს გაიმეორებს — 49 გოლი ჩემპიონთა თასზე.

თავში ვთქვით, „უილიამ ჰილმა" „რომას" ხსენება საჭიროდ არ ჩათვალაო: ცხადია, ახირების გამო არ უქნია — „რომამ" ჯგუფიდან გასვლის შანსი უკვე დაკარგა. ეს გარემოება კი „დინამოს" უადვილებს საქმეს. ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ „რომას" დამარცხება და 10 ქულის დაგროვება კიეველებს მერვედფინალში გასვლის გარანტიას არ აძლევს.

„რომა" უმოტივაციოდ არის დარჩენილიო და, ესეც დავძინოთ: იტალიელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ კრისტიან პანუჩი და დანიელე დე როსი. ამათ გარდა თამაშს ტრავმების გამო ვინჩენცო მონტელა, კრისტიან კოვუ და ოლივიე დაკური ვერ შეძლებენ. ფრანჩესკო ტოტი კი მატჩს ოჯახურ მიზეზთა გამო გამოაკლდება.

მასპინძლებს ყველა მწყობრში ჰყავთ. არც დისკვალიფიცირებულია ვინმე და არც დაშავებული.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო** | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| **რეალი** | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| **ლევერკუზენი** | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| **რომა** | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბაიერნი — მაკაბი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| კანი, სანიოლი, ლუსიო, რობერტ კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი, მაკაი, პიზარო | შტრაუბერი, მოოსა, ჯოვანინი, სტროოლი, აბო-საიმი, ლ. კოენი, მიშაელოფი, ტ. კოენი, მესიკა, დაგო, ი. ადო |

მსაჯი: ლუის მედინა ჯანტალეხო (ესპანეთი)

### იუვენტუსი — აიაქსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბუფონი, ძებინა, ტურამი, მონტერო, ბირინდელი, კაპო, აპია, ტაკინარდი, ოლივერა, იბრაჰიმოვიჩი, ზალაიეტა | ვონკი, ტრაბელსი, ესკუდე, გრიგერა, ნ. დე იონგი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, მაქსველდი, როსალესი, ანასტასიუ, მიტია (ბუხარი) |

მსაჯი: ჯონრად პლაუცი (ავსტრია)

# ჯუმანის შანსი დატვა და ინტერია

ალესანდრო დელ პიერო

„აიაქსი", რომელიც „იუვენტუსს", უბრალო თამაშებს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვედრია ორჯერ, დღეს ისევ „დელე ალპიზეა". „იუვე" კი უკვე გასულია ჯგუფიდან — ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო ერთნაირი ანგარიშით, 1:0. ტურინელები ამ თამაშს პაველ ნედვედისა და ალესანდრო დელ პიეროს გარეშე ჩაატარებენ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი მოედანზე იქნება — შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩი „იუვენტუსში" სწორედ „აიაქსიდან" გადავიდა, თან სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს.

„აიაქსმა" დღეს „იუვეს" და შემდეგ „ბაიერნს" უნდა მოუგოს, რათა შეკიბრების მეორე ეტაპზე გავიდეს, ოღონდ ამასთან ერთად მუნხენელებმა პატივი უნდა სცენ და დღესვე წაგონ შინ თელ ავივის „მაკაბისთან". ამსტერდამელთა მწვრთნელი რონალდ კუმანი რამდენიმე რადიკალური ხასიათის ცვლილებას აპირებს წინა „მაკაბისთან" წაგებულ მატჩთან შედარებით. კერძოდ, არ ითამაშებენ უესლი სონკი, უესლი სნეიდერი, მარტენ შტეკელენბურგი და ჯონი ჰეიტინგა. სამაგიეროდ, მწვრთნელი 17 წლის რიან ბაბელზე აპირებს დაყრდნობას — ბაბელი გასულ შაბათს „ვრაფსბაპის" წინააღმდეგ შევიდა მოედანზე და აიაქსელთა ხუთი გოლიდან მეოთხე 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, დაცვამ ითამაშოს კარგად. დაცვის კარგი თამაში დანარჩენ გუნდს საკუთარი თავის რწმენას მატებს — თქვა გუშინ კუმანმა — „იუვენტუსი" უკვე გასულია შემდეგ ეტაპზე და თან კვირას სერია A-ში „ინტერთან" ელის უმძიმესი თამაში, რაც ჩვენი შანსია".

„ბაიერნში" კი პაულო გერერო გამოჩნდა — მუნხენელთა მწვრთნელი, ფელიქს მაგათი იმედოვნებს, რომ პერუელის სარბიელზე ეფექტური შემოვარდნა რიი მაკაისა და კლაუდიო პიზაროს ცოტა ყურებს შეაბერტყინებს.

„პიზარო და მაკაი უნდა მიხვდნენ, რომ იმათ უკან ვიღაც ჩასაფრებულია. პაულო ქუჩის ფეხბურთელია, სიტუაციას სუნით, ინსტინქტით გრძნობს" — ამბობს მაგათი.

გერერო „ბაიერნმა" 2002 წელს იყიდა და ორი წელიწადი მოყვარულთა გუნდში მალავდა.

„ფელიქს მაგათი მენდობა, შანსს მაძლევს. მე კი მინდა კლაუდიოსა და როისავით სულ გოლები გავიტანო" — ამბობს თავის მხრივ 20 წლის ამომავალი ვარსკვლავი.

დანარჩენი ამ საღამოს გამოჩნდება.

| | | | | | | ბაპუნა | კედია |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 | |
| ბაიერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 | |
| აიაქსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 | |
| მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 | |

REUTERS მიუნხენიდან

თელ ავივის „მაკაბი" მიუნხენში საბრძოლველად ჩავიდა

## D ჯგუფი

### მანჩესტერი — ლიონი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, რუნი | იუდებუა, რეველიერი, ლ. დიატა, კრისი, ბერტოდი, მ. დიარა, ესიენი, უუნინიო პერნამბუკანო, გოვუ, მალუდა, ვილტორდი |

მსაჯი: ჯიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

### სპარტა — ფენერბაჰჩე

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბლაჟეკი, ვორიშეკი, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში, ლაბანტი, შიმაკი, შივოკი, ზელენკა, ურბანეკი, იუნი, პაჩანდა | რუშთუ, უმით ოზატი, ონდერი, ფაბიო ლუსიანო, ფაბიანო, მარკო აურელიო, სელჩუკი, კემალი, ალექსი, ნობრე, თუნჯაი |

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ალან სმიტი სათადარიგო იქნება, უეინ რუნი ძირითადში ითამაშებს

# ოლა პოპასს ჩაამწარებს?

## მანჩესტერი რეალს მიუახლოვდა

| 10402 ანდერლეხტი-ვალენსია | 3.8 | 2.1 | 2.5 | | | |
| 10402 ვერდერი-ინტერი | 2.6 | 2.1 | 3.8 | | | |
| 10403 ჩელსი-პსჟ | 1.8 | 2.4 | 6.5 | | | |

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

# რუსეთი 15:27 საქართველო

20 ნოემბერი. კრასნოდარი

გადრი ჯეთილაძის ფოტო

დავით ბოლოდაშვილი, მალხაზ ნაცვლიშვილი, დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი

# დათვებზე ნანადირევს

## რუსებო, თქვენი სისუსტე ქართველთა სიძლიერეში ეძებეთ

*რუს „დათვებზე" მორიგი „ნადირობიდან" დაბრუნებულმა ბორჯღალოსნებმა გუშინ რაგბის ყავშირში პრესკონფერენცია გამართეს. ეროვნულ მატჩსა და ნაკრებთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსზე ნაკრების მენეჯერმა მალხაზ ნაცვლიშვილმა, მწვრთნელებმა – დავით ჩავლეიშვილმა და მალხაზ ჭეიშვილმა და ბორჯღალოსანმა დავით ბოლოდაშვილმა ისაუბრეს. დროის უმეტესი ნაწილი რუსეთამდე და რუსეთის შემდეგ ჩვენ ნაკრების საერთათასო სამზადისსა და ყველაზე დიდ პრობლემას – ჯლუბებიდან ლეგიონერების გამოშვების საკითხს დაეთმო*

პირველი სიტყვა მენეჯერისა იყო და მალხაზ ნაცვლიშვილმაც ცოტა შორიდან მოუარა:

„ერთა თასი არაორდინალურდ დავიწყეთ. პირველი ტურის შეხვედრა რუსეთში წესით, მომავალი წლის დასაწყისში უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ ფირა-მ ნოემბერში გადმოიტანა და კალენდარში კორექტივების შეტანა დაგვჭირდა. მოსამზადებელი ეტაპი ზაფხულიდან დავიწყეთ. სამხრეთაფრიკული „ბლუ ბულზის" თბილისური შეკრება ძალიან კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის. არანაკლებ ნაყოფიერად გამოვიყენეთ ურუგვაისა და ჩილეში ახლახან ჩატარებული თამაშები. ამ ტესტებში უამრავი ახალგაზრდა გამოვცადეთ, რომლებიც ეროვნულ გუნდში უკვე იმკვიდრებენ ადგილს. ამგვარად, ზაფხულიდან დღემდე ჩატარებულ სამუშაოებს ნაყოფიერად მივიჩნევთ და მტკიცებად კრასნოდარული შეხვედრაც კმარა. რუსეთისთვის ოპტიმალური შემადგენლობაც შევკრიბეთ და, რაც მთავარია, ყველა მორაგბე კარგ ფორმაში იყო."

მალხაზ ნაცვლიშვილისგანვე შევიტყვეთ, რომ თურმე ერთა თასის გამარჯვებით დაწყებისთვის ბორჯღალოსანთათვის პრემიებიც დაურიგებიათ. თან დაამატა, ეს თანხა არც მათი მოსამზადებელი შეკრების ფონდიდან აგვიღია და არც სხვა ხარჯებისთვის მოგვიკლიაო. ყველაზე ბუნდოვნად ლეგიონერთა უცხოურ კლუბებთან დამოკიდებულება რჩება და მენეჯერის თქმით, ამაზე სერიოზული მუშაობა დასჭირდებათ.

„ჩვენ გვყავს ძალიან ბევრი ლეგიონერი და ზოგიერთი კლუბი მათ ნაკრებში თამაშს ხელს უშლის. ეს დიდი ხნის პრობლემაა და ასე ერთი ხელის მოსმით გადაჭრა ცოტა ძნელია. უკვე შევადგინეთ ნაკრების ერთწლიანი გეგმა, რომელიც ლეგიონერთა კლუბებს დავუგზავნეთ. ასე რომ, მათ უკვე წინასწარ იციან, როდის შევეხმიანებით და მერე ველარ მოიმიზეზებენ, საქმის კურსში დროზე უნდა ჩაგეყენებინეთო. ამ საქმეში საფრანგეთში მცხოვრები მიშელ იაშვილიც დაგვეხმარება, მაგრამ თუ მისმა ცოდნამ და ავტორიტეტმაც არ გაჭრა, ეგებ იურისტებიც ავიყვანოთ. მთავარი ისაა, რომ თავად მორაგბეებიც ჩვენს გვერდით დგანან. არც ერთ ლეგიონერს საკუთარი მიზეზით ნაკრებში ჩამოსვლაზე უარი არ უთქვამს და ამრიგად, ამ საკითხს განსაკუთრებული სისათუთით უნდა მივუდგეთ."

მენეჯერის ნაუბრის შემდეგ ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხების გაცემა მწვრთნელებს მოუხდათ. პირველი და უმთავრესი შეკითხვა იმას ეხებოდა, საქართველოს გამარჯვება რუსების შესუსტებით ხომ არ აიხსნებაო. თუმც ვიდრე დავით ჩავლეიშვილი იტყოდა რამეს, ნაცვლიშვილმა დაასწრო — რუსეთის ნაკრების სისუსტეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ეს გუნდი სუსტი მაშინაა, როცა სჯობიხარ და თუ ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, ეს ჩვენმა კარგმა თამაშმა განაპირობაო. მწვრთნელმა კი მენეჯერის აზრი უფრო გააღრმავა.

*დავით ჩავლეიშვილი:* „რუსების ძლევის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მათ უპირატესობა არ ვაგრძნობინეთ. ეს შეცდომა რომ დაგვეშვა, ველარ მოვიგებდით. ერთი თამაშის მოგებით დასკვნის გაკეთება ძალიან სარისკო საქმეა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ შარშანდელთან შედარებით უფრო გამართულად ვთამაშობთ. პირველ რიგში ეს ხელით თამაშისას ჩანს. მარტო ძალით და დაჯახებით ფონს გასვლის დრო დიდი ხნის წინ დასრულდა. დიდი რაგბი სულ სხვა რამეა და ვცდილობთ, სწორედ მას ავუწყოთ ფეხი. რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, სტატიკურ მომენტებში საოცარ უპირატესობას ვფლობდით. თუნდაც თედო ზიზიბაძის ლელო რად ღირს, რომლის მსგავსიც აქამდე მეორე არ გვყოლია. ცალტფეხანა შეტაკებები ორ წუთს გაგრძელდა და ველური დასრულდა."

ტაქტიკურ ბრძოლასთან ერთად ნაკრების თავკაცმა ბორჯღალოსნების ფიზიკური მონაცემებიც ახსენა და სამხრეთამერიკული ტურნე გაიხსენა: „ურუგვაიში მასპინძელთა ნაკრებთან თამაშის დასრულების შემდეგ ჩვენთან მათი პრეზიდენტი მოვიდა და ალალად გვითხრა, გასახდელში დაბრუნებული ჩვენი ბურჯები ტირილის პირას იყვნენ, ასეთებთან ამიერიდან მოედანზე სათამაშოდ აღარ გავალთო."

ერთა თასის მეორე ტურში ბორჯღალოსნები პორტუგალიას სტუმრად ეთამაშებიან, ეს მატჩი ხუთ თებერვალს შედგება და მანამდე ნაკრებს ფრანგული შეკრება აქედანვე დაუგემავს, თუმც მალხაზ ნაცვლიშვილმა კონკრეტული თარიღი და შეკრების ადგილი ჯერ ვერ დაასახელა:

„საფრანგეთში ერთკვირიანი ან ათდღიანი შეკრება მოეწყობა, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცით. სამი ვარიანტი გვაქვს, რომლებიდანაც საუკეთესოს მალე ამოვარჩევთ. ნაკრები საპორტუგალიოდ ორლეანში, ტულუზაში ან მონპელიეში მოემზადება. ეს სრული შემადგენლობით, თორემ საქართველოში მყოფი ეროვნული გუნდის მორაგბეები ერთად ფრანგულ შეკრებამდეც ივარჯიშებენ კვირაში სამჯერ."

**ოთარ მაღლაკელიძე**

## დათვები არა და რობოტები

ბოლოს, რუსი „დათვების" თავკაც იგორ მირონოვის კრასნოდარული მატჩის შემდეგ ნათქვამიც ინებეთ, რომელიც გუშინდელ პრესკონფერენციაზე დავით ჩავლეიშვილმა გაახმაურა:

„საქართველოსთან თამაშამდე საფრანგეთში გავიარეთ შეკრება. იქვე ნაკრების ყველა წევრს ფიზმომზადების ტესტი ჩავაბარებინე და აღმოჩნდა, რომ თვით ელიტა 1-ის მოთამაშეებს ფიზიკურად სამჯერ გადააჭარბეს. თუმც ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ რობოტები ვართ. სანამ მოედანზე ფიქრს არ ვისწავლით, სერიოზული თამაშის მოგებაზე არც უნდა ვიოცნებოთ" — იგორ მირონოვი



# ფედერერმა ჰიუიტს ცხოვრება გაუმწარა

REUTERS ჰიუსტონიდან

### მასტერსთასი

ჰიუსტონი. მაგარსაფარი. საპრიზო 4,45 მილიონი $

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) 6:3, 6:2

რაც ჩვენ ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში როჯერ ფედერერის სადღეგრძელო შეგვისვამს, იმდენჯერ მგონი ჩვენი დედმამიშვილებისა არ დაგვილევია. ჰოდა, როგორღაც გაგვიცვდა და გაგვიერთფეროვნდა ამ 23 წლის გენიოსი ბიჭის მისამართით აღსავლენი სახოტბო სიტყვები. კოლეგებში ისიც კი ითქვა, ამ ჯერზე ახალი ვარცხნილობა მაინც შევუქოთო და ვინძლო, სხვანაირად შეკრულ-გადაკულულებული თმები როჯერს მართლაც უფრო უხდებოდეს. მაგრამ კაცთა პირველობანის გარეგნულ გაუმჯობესებათა შესახებ განსჯა, მოდით, ისევ მის მეგობარ ქალ მიროსლავა ვავრინეცსა და მდედრ ქომაგებს დავუთმოთ, ჩვენ კი კვლავაც მშრალი და იმავდროულად შთამბეჭდავი ფაქტების გადმოცემით შემოვიფარგლოთ.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ფედერერმა უკვე ზედიზედ მეცამეტე ფინალი მოიგო, რაც 1969 წლიდან ანუ ღია პირველობათა ერაში სხვას ვერავის მოუხერხებია. უკვე ზედიზედ ოცდამესამედ აჯობა მან ამჭრის ვინგინდავინ ზეთუულელს, პირადად ჰიუიტს კი წლეულს სულაც მეექვსე დამარცხება აგება. ეს მათი მეთხუთმეტე დაპირისპირება იყო და ამ მოგების მერე ფედერერი უკვე 8:7 უპირატესობს შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში მან ოზბიჭი აქამდე ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში, ჰამბურგული მასტერსობის ნახევარფინალში, უიმბლდონის მეოთხედფინალში, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში და სამოდ დღის წინ ჰიუსტონური მასტერსთასის ჯგუფურ ეტაპზეც დაჩაგრა. ასე რომ შეიძლება ითქვას, ის წლეულს ჰიუიტის ბოროტ თანამდევ სულად იქცა. ახლა თავადაც საუცხო ფორმაში ვარ და ალბათ ყველას ძლევა შემიძლია მის გარდა, აშბობდა წაგებული ფინალის შემდეგ ავსტრალიელი და იქვე დასძენდა, რომ ფედერერი ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ისეთ ბარაჭან ჩოგბურთს თამაშობს, წინათობელთაგან მხოლოდ პიტ სამპრასსა და ანდრე აგასის რომ ჩოგანწიფებოდათ.

სხვაფრივ — ეს ფედერერის მე-11 საამსეზონო და 22-ე საკარიერო ტიტულია ანუ მან წლეულს მთელი აქამომდელი მონაგრის რაოდენობრივად ტოლფარდი საუნჯე იშოვა, რასაც ხარისხობრივად თუ განვიხილავთ, ეს მიღწევა საერთოდაც ფანტასტიკურად მოგვეჩვენება — ამ თერთმეტიდან ხომ სამი დიდი მუზარადის, სამიც კი მასტერსსერიის ტურნირებზეა ნაშოვნი.

ჰიუსტონურ მასტერსთასზე ზედიზედ მეორეჯერ გამარჯვებამ ბაზელელს დიდებასთან ერთად უახლესი ავტომობილი და გამარჯვებულისთვის დათქმული 1,52-მილიონიანი ჩეკიც ერგო. ამან კი მისი საამსეზონო შემოსავალი 6,35 მილიონამდე აიყვანა, რაც მცირედით ჩამორჩება 1997 წელს პიტ სამპრასის მიერ მორეწილ სარეკორდო 6,5 მილიონს.

მეტი რაღა გითხრათ? მოდით, ბოლოსკენ თავად მხიარულ როჯერს მოვუსმინოთ: „დიდებული დასასრული გამოდგა. დაუჯერებელი, დიადი, ფანტასტიკური სეზონი იყო და ისევე ზღაპრულადვე დასრულდა, როგორც დაიწყო და მიმდინარეობდა. ასეთი წლის მერე სადმე სამყუდროვეთში დასვენებას ალბათ არაფერი აჯობებს."

**ლევან კელაურაძე**

ბაადურ ჯობავას ფოტო

# დანიასთან რა თამაში ვერ მოვიგეთ?!

## ბაადურ ჯობავა: ფეხბურთის ფანი და ჭადრაკის ვარსკვლავი

ესპანეთის კურორტქალაქ მალიორკაში 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადა 30 ოქტომბერს დასრულდა და წესით ეს მასალაც მაშინ უნდა დაგვეწერა. არა, ოპერატიულობა არ დაგვირღვევია, არც არაფერი გამოგვპარვია, ეს ოლიმპიადის ორგანიზატორებს „ვითომ გამოეპარათ“ — ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე ბაადურ ჯობავას სპეციალური სერთიფიკატი არ გადასცეს. მოგეხსენებათ, ქართველ ვაჟთა ნაკრებს მალიორკულ დაფებზე სასწაული არ მოუხდენია და ოდენ 21-ე ადგილს დასჯერდა, მაგრამ ჯობავამ თავის წილად 10 პარტიიდან 7 მოიგო, 3 ყაიმით დაასრულა, 8,5 ქულით ინდივიდუალურად ყველა მოჭადრაკეს აჯობა და ფიდე-ს სერთიფიკატიც ირგუნა. ქართველ დიდოსტატს ეს პრიზი გუშინ ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ჩიგოგიძემ გადასცეს.

*სადაც აზმაიფარაშვილია, იქ ოლიმპიადის სკანდალური დახურვის ცერემონიალზე როგორ არა ვთქვათ... ჯობავას იგნორირება ხომ სწორედ აზმაიფარაშვილსა და ოლიმპიადის ორგანიზატორებს შორის გართულებული ურთიერთობის ბრალია. როგორც გაირკვა, ესპანელები ყველანაირად ცდილობდნენ ქართველი მოჭადრაკეების დაჩრდილვას. „ნონას თასიც“ ისე გადასცეს რუსეთის ნაკრებს, ჭადრაკის ქართველი დედოფალი ერთხელაც არ უხსენებიათ და სცენაზე მიწვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.*

*რაც შეეხება ჯობავას სერთიფიკატს, მის ჩამოტანაზე ისევ აზმაიფარაშვილს უბრძოლია: „ამ სერთიფიკატს ფიდე-ს პრეზიდენტი კირსან იღუმჟინოვი აწერს ხელს. წესით, იგი ოლიმპიადის მთავარ არბიტრს უნდა გადაეცა ჯობავასთვის, მაგრამ არბიტრი სცენაზე არ აუშვეს. სერთიფიკატის ჩამოსატანად ათენში გავემგზავრე. ამ საქმეს ჩემზე სწრაფად ვერავინ გააკეთებდა და მართალია გვიან, მაგრამ ბაადურმა მაინც მიიღო ეს პრიზი. ამას გარდა, ჯობავასთვის ოქროს მედალიც უკვე შეკვეთილია“ — გვითხრა აზმაიფარაშვილმა.*

*აქვე ვთქვათ, რომ ოლიმპიადის საუკეთესო ვაჟი მოჭადრაკე შარშანწინ გარი კასპაროვი იყო, შარშან კი ალექსანდრ მოროზევიჩი. ეს სერთიფიკატი ოფიციალურად 2000 წელს გამოუშვეს, თორემ 1998 წლის ოლიმპიადაზე მას ზურაბ აზმაიფარაშვილიც მიიღებდა.*

*გუშინდელი დღის გმირი ბადურ ჯობავა მსოფლიო ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავად აქამდეც ითვლებოდა, ახლა კი... „ეს სერთიფიკატი ჩემთვის დიდი სტიმულია და დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. ცუდი ისაა, რომ მთლიანად ნაკრებმა დაბალი შედეგი აჩვენა და ოცეულშიც ვერ შევედით“ — გვითხრა ბაადურმა, რომელიც ინტერვიუზეც ხალისით დაგვთანხმდა.*

**— 10 პარტიიდან 8,5 ქულა მშვენიერი შედეგია. შენთვის ეს სიურპრიზი იყო თუ ელოდი ამგვარ თამაშს?**

— ყველანაირად მომზადებული ვიყავი. არც მორალურ-ფსიქოლოგიურად და არც საჭადრაკო ელემენტების მხრივ პრობლემა არ მქონია. ერთიცაა, 10 პარტიიდან 8 თეთრებით ვითამაშე, რაც ასევე დამეხმარა. თავიდან მეოთხე დაფის მოთამაშედ ვითვლებოდი, მაგრამ ნაკრების კაპიტანი ხშირად გვცვლიდა.

**— ბუნებრივია, მეოთხე დაფაზეც ჩემპიონი გახდებოდი. ეს პრიზი თუ მიიღე?**

— კი, დახურვის ცერემონიალზე გადმოგცეს. სცენაზე ყველაზე მაღლა ვიდექი, ამაყად...

**— ბევრ სახელიან მეტოქეს შეხვდი და მათგან ვის გამარჯვებულ?**

— პირველ ოცეულში, რუს ალექსეი გრიშჩუკს. ასევე ნინელ ჟან ლონგს, სტრეფანიელ კურიეცას და ფრანგ ნატაფს. ოთხივე დიდოსტატია, მაგრამ მათგან მხოლოდ ნატაფს დავუზავდი, დანარჩენებს კი მოვუგე. მათ შორის კურიეცას შავებით ვაჯობე.

**— როგორ გგონია, ნაკრებს უკეთესად გამოსვლა არ შეეძლო?**

— სხვათა შორის, ბოლო ოლიმპიადებზე ათეულს ქვემოთ არ ჩამოვსულვართ. ახლაც ბოლო ტურში სომხებთან რომ არ წაგვეგო და 2,5 ქულა მაინც აგვეღო, ექვსეულში შევიდოდით. ამ შემთხვევაში პრემიებსაც მივიღებდით.

**— პირადად შენ პრემიის გარეშე არ დარჩები. უკვე ითქვა, რომ სახელმწიფო აპირებს შენს დაჯილდოებას...**

— ძალიან კარგი, ესეც დიდი სტიმულია.

**— ჭადრაკში შენი კერპი ვინ არის?**

— რუსი ალექსეი ალიოხინი. საქართველოდან კი ვერავის გამოვარჩევ, ყველას დიდ პატივს ვცემ.

**— სპორტის სხვა სახეობებიდან რომელი გიყვარს?**

— აუჰ, ფეხბურთის ფანი ვარ. ეზოშიც ვთამაშობ და თუ საშუალება მაქვს, ტელევიზორშიც არ ვაცდენ მატჩებს. რობერტო კარლოსი მაგრად მომწონს, კლუბებიდან კი „რეალს“ ვქომაგობ.

**— და ალბათ ბრაზილიის ნაკრებს...**

— სხვათა შორის, არა. ნაკრებებში გამორჩეული არ მყავს. უფრო უკრაინა მიყვარს, ლტოლვილი ვარ და შვიდ წელიწადზე მეტი სწორედ უკრაინაში ვცხოვრობდი.

**— საქართველო და უკრაინა რომ ხვდებოდნენ, ვის გულშემატკივრობდი?**

— მაგას კითხვა უნდა? ეგ კი არა, დანიასთან რა თამაში ვერ მოვიგეთ, კინაღამ შევიშალე...

**ილია ნანოგაშვილი**



# სანდრა რულოვსი და ისევ ფრენბურთი

## პირველი ლედი ჯიევს ესტუმრა



ფოტოებზე ალექსანდრ ბოლოდინის ფოტოები

*ჯიევის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლაში გუშინ ფოტოკამერების ჩხაკუნი იმიტომ კი არ ისმოდა, რომ იქ საქართველოს ქალთა საფრენბურთო ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი იმართებოდა... ასეც რომ ყოფილიყო, ვეჭვობთ, მედიას ამხელა ყურადღება გამოეჩინა და ნახევრად ჩაბნელებულ, ფარლალალა დარბაზში ჩემპიონატის უდავო ფავორიტისა და ახალგაზრდული შრომითი რეზერვების გუნდის მატჩის საცქერად მისულიყო. ყურადღების მიზეზი გახლდათ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, რომელიც ფრენბურთს რომ ქომაგობს, უკვე მთელმა ქვეყანამ იცის*

სპორტულ მხარეს თუ ვიკითხავთ, დიდი ვერაფერი მატჩი იყო, ნაკრების საბაზო, სოფელ დიდი ჯიხაიშის გუნდმა მცირე საფრენბურთო გაკვეთილი ჩაუტარა თბილისის შრომითი რეზერვების გუნდს და საბოლოოდ 3:0 მოუგო.

თბილისელებს სწორედაც ხომ გაკვეთილები სჭირდებათ, რადგან ძალიან გამოუცდელნი არიან — გუნდში მათ 12 წლის გოგონებიც ჰყავთ, როცა ჯიხაიშელთაგან სამი ნაკრების წევრია და გუნდს ნაკრებისვე თავკაცი ავთო მიქაძე წვრთნის.

ფრენბურთის დიდი ცოდნა არ იყო საჭირო, რომ გაგეგო, ვის რა შეუძლია. თბილისელები ბავშვური სილაღით ხარობდნენ თითოეულ მოგებულ ქულას, თვალებგაბრწყინებულნი ემოციას ვერ მალავდნენ და სულ კუნტრუშით იკავებდნენ თავიანთ ადგილს მეტოქის ჩამოწოდებისას. სამტრედიელები კი უფრო დაღვინებულები იყვნენ და ემოციასაც მოზომილად გამოხატავდნენ.

პირველი პარტია ჯიხაიშელებმა 25:16 მოიგეს და მეორე ახალი გახურებული იყო, როცა დარბაზში საქართველოს პირველმა ქალბატონმა შემოანათა და ისედაც ეგზალტირებული ახალგაზრდა ქომაგები კიდევ უფრო ემოციურად განაწყო. პრეზიდენტის მეუღლემ ადგილი საგანგებოდ მისთვის მომზადებულ მაგიდასთან დაიკავა, სადაც ქალბატონი სანდრას მოსვლამდე ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი მოკალათებულიყო.

პირველმა ლედიმ ყველას ღიმილი შეაგება და მატჩის ცქერას შეუდგა, მაგრამ ორივე გუნდის ჩაგდებულზე უკრავდა ტაშს და ვერ გაიგებდი, ვის ქომაგობდა. თუმც ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მთავარი ისაა, რომ პრეზიდენტის მეუღლე დაინტერესებულია ფრენბურთით და თუნდაც რიგით მატჩზე აკითხავს ხოლმე საფრენბურთო დარბაზებს.

ქალბატონ რულოვსს არა მხოლოდ თბილისში ნახავთ. გაზაფხულზე იგი დიდ ჯიხაიშიც გახლდათ და გუშინდელისგან განსხვავებით, სპორტულად გამოწყობილმა სამტრედიაში ხელიც გაიქნია.

სანდრა რულოვსის დარბაზში გამოჩენამ თავიდან შრომითი რეზერვების გუნდის წისქვილზე დაასხა წყალი, რაკი ყველაზე მეტი, რასაც თბილისელებმა ამ მატჩში მიაღწიეს, პრეზიდენტის მეუღლის მოსვლას დაემთხვა. მასპინძლებს თითქოს მეორე სუნქთვა გაეხსნათ, იოლად უმკლავდებოდნენ ჯიხაიშელთა იერიშებს, ბლოკსაც ზუსტად აყენებდნენ და კონტრიერიშსაც მძლავრი დარტყმებით აგვირგვინებდნენ. შედეგად, გვარიანად ჩამორჩენილებმა სხვაობა შეამცირეს და მაშინ, როცა სამტრედიელებს ეგონათ, ანგარიში 2:0 გავხადეთო, მეტოქე 2 ქულით მიუახლოვდა — 23:21 სტუმართა სასარგებლოდ.

თუმც თბილისელმა გოგონებმა მეტი ვეღარ შეძლეს, მიჯრით ორი ქულა წააგეს და არაქთგამოცლილებმა მესამე პარტიაც თითქმის უბრძოლველად, 7:25 დათმეს.

თამაშის შემდეგ ქალბატონმა სანდრამ მატჩის ყველა მონაწილე გოგონა გადაკოცნა, მოგებულებს გამარჯვება მიულოცა, წაგებულები კი, ცხადია, გაამხნევა. მერე ყველა შექუზდა, თაიგულით დამშვენებული პრეზიდენტის მეუღლე შუაში ჩაიყენეს და სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს XV ჩემპიონატი

**ხვალ არმიის სპორტული კლუბის დარბაზში იწყება ვაჟ ხელბურთელთა მე-15 ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური. შეგახსენებთ, ხუთ-ხუთგუნდა „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფების საწყისი ტურის თამაშები ერთი თვის წინ, თბილისსა და თელავში გაიმართა. ამჯერად თბილისში ათივე გუნდი შეიკრიბება და პირველი წრის დანარჩენ მატჩებს გამართავს. შეხვედრები ხვალ 12 საათზე დაიწყება, სხვა დღეებში კი დილის 10 საათზე**




ბია ახალაძის ფოტო

სასიამოვნოა, რომ თამაშები თელავშიც ჩატარდა

# ქართული ხელბურთი თბილისიდან გავიდა

როგორც იქნა, გვეღირსა ნორმალური სახელბურთო ჩემპიონატი. თორემ, აბა, რა იყო, უმთავრესი ეროვნული ღონისძიება ბოლო დროს დასაცინი გაგვიხდა.

შარშანდელი, მე-13 „ჩემპიონატი“ სწორედ რომ გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი — ხუთგუნდა ერთწრიანი ტურნირი სულ ხუთი დღე გაგრძელდა და ისიც რის ვაი-ვაგლახით ჩამთავრდა.

ჩაშლის პირას იყო წინა პირველობაც, მაგრამ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის მიერ შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეძლო საქმისთვის თავის მობმა და წლეულს მაისში ორწრიანი ტურნირი ჩაატარა.

ორგკომიტეტმა, რომელსაც ყოფილი ხელბურთელი ზურაბ კაკაბაძე ხელმძღვანელობს, დიდი შრომა გასწია, გამოუშვა პირველად მცირე, ახლა კი ოცგვერდიანი ფერადი პროგრამა, გამონახა ჩემპიონატის პარტნიორები — ქართული წარმოების სპორტული ტანსაცმლის ფირმა „სარო“, რომელმაც მოთამაშეებს ლამაზი და ხარისხიანი ფორმა შეუკერა და საგამომცემლო სახლი „ტრიასი“, რომელმაც ჩემპიონატის პროგრამა დასტამბა. 2004-2005 წლების პირველობაც ისე, როგორც ნორმალურ ქვეყნებში, ნორმალურ დროს — შემოდგომაზე დაიწყო, თანაც მონაწილეთა არნახული რაოდენობით. ეროვნულ სარბიელზე ორი-სამი წლის წინ 10 გუნდის გამოსვლა წარმოუდგენელი ამბავი იყო. იმას რა სჯობს, რომ საქართველოში დიდი ტრადიციების მქონე ეს სახეობა რეგიონებშიც გაცოცხლდა და იქაური ხუთი(!) წარმომადგენელია.

სასიხარულოა ისიც, რომ ჩემპიონატი თბილისიდან „გავიდა“ და პირველი ტურის თამაშები ჩატარდა თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის შშვენიერ, ნათელ დარბაზში. დანაშაულია, რომ 20 წლის წინ ბატონ თამაზის მოწადინების და აქტიურობის შედეგად აგებული ეს შესანიშნავი კომპლექსი, სადაც საშინაო თამაშებს მართავს საკალათბურთო „ბურჯი“, უმეტეს დროს უქმად ცდებოდეს და დიდ-პატარების შეჯიბრებებით არ იყოს დატვირთული. მართალია, დღეს ყველას გვიჭირს, მაგრამ მაინც ხომ გამონახა ოთხმა გუნდმა თელავში სამივლინებო თანხა.

თელაველებს მშვენიერი სახელბურთო გუნდი ჰყავთ, რომელსაც რეალურად შესწევს ძალა ფინალურ ექვსეულში გასასვლელად.

სენსაციური ამბავია, რომ სატურნირო ცხრილის სათავეში ამ 15 წელიწადში პირველად ვერ ვხედავთ საქართველოს უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს“. ჩემპიონებს წინა ტურნირის შემადგენლობიდან დიდი ძალა მოაკლდათ — ტიტე კალანდაძე და ტრავმირებული გიორგი ქობელაშვილი. ალბათ ესეც იყო მიზეზი გუნდის „თბილისთან“ მარცხისა. ეს თამაში ჩემპიონატის მშვენება იყო — მაღალტექნიკური, სწრაფი გარღვევებით, ბოლომდე დაძაბული და ემოციური. „თბილისის“ გამარჯვებაში მთავარი წვლილი შეიტანეს ბომბარდირმა ლევან გელაშვილმა, უბერებელმა ლიდერმა ელიზბარ არსენაშვილმა, მეკარე არჩილ გარიშვილმა.

რაც შეეხება „შევარდენს“, კალანდაძე ერთი კვირის წინ ისლანდიაში გაემგზავრა და ერთ-ერთი იქაური კლუბის ღირსებას დაიცავს. ქობელაშვილი გამოჯანმრთელდა და იმედია, ძველებური შემართებით და შედეგიანობით შეუტევს მეტოქეთა კარს.

მეორე არანაკლებ ეფექტური და დაძაბული თამაშიც ვიხილეთ წინა პირველობის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნების „საუ-მამულისა“ და „ქუთაისის“ შესრულებით. შეხვედრის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული მეტოქეთა სნაიპერების — გიორგი წივწივაძისა და ალექსანდრე ბოყოჩაძის შედეგიანობაზე. ქუთათურებმა ბოლო წუთებზე გატეხეს მამულელთა წინააღმდეგობა და დამსახურებული გამარჯვებაც იზეიმეს. 31 წლის ბოყოჩაძემ 16-ჯერ გაიტანა, ცხრა წლით უმცროსმა წივწივაძემ — ხუთით ნაკლები.

სწორედ ეს ოთხი კლუბი იბრძოლებს პირველი ადგილისთვის.

ათეულში ორი გუნდითაა წარმოდგენილი გლდანის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლა. „ქარიშხალაც“ (ყოფილი „მართვე“) და 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრებიც წარმატებით იხარჯება და არც ისაა გამორიცხული, ორივე ფინალურ ექვსეულში აღმოჩნდეს.

„ბათუმს“ პირველ ტურში დიდი ძალა აკლდა — მთავარმეგოლე ედნარ ქარცივაძე, რომელიც იმ დღეებში მამა გახდა და თანაგუნდელებს ვერ დაეხმარა. ედნარი ახლა მწყობრში თუ იქნება, ზღვისპირელებს საექვსეულო შანსიც გაუჩნდებათ.

სასიხარულოა, თითქმის ათი წლის შემდეგ ეროვნულ სარბიელზე სამტრედიელ და გორელ ხელბურთელთა გამოჩენა. ეგაა, ექვსეულისთვის საბრძოლველად მათ ჯერჯერობით ძალა არ შესწევთ. ჩემპიონატის „აღმოჩენად“ უნდა ჩაითვალოს 29 წლის გორელი გოჩა მშვიდობაძე, რომელმაც სამ თამაშში 40 გოლის გატანა შეძლო.

როგორც საჩემპიონოდ, ასევე ექვსეულში გასასვლელად დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი და იმაზე სასიამოვნო რა იქნება, თუკი ჩემპიონი დასკვნით ტურში, მაისში გაირკვევა და არა, ვთქვათ, ერთი წრით ადრე, როგორც ეს ბოლო დროს ხდებოდა.

**გია ახალაძე**

თამაზ ანთაძის სახელობის თელავის სპორტთამაშების სკოლა

### ვითარება პირველი ტურის შემდეგ

| | მ | ფ | ვ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 4 | 0 | 0 | 140:106 | 8 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 112:94 | 8 |
| საუ-მამული | 3 | 0 | 1 | 177:110 | 6 |
| სტუ-შევარდენი | 3 | 0 | 1 | 105:81 | 6 |
| ქარიშხალა | 2 | 0 | 2 | 125:124 | 4 |
| ჭაბუკები | 2 | 0 | 2 | 94:121 | 4 |
| თელავი | 1 | 0 | 3 | 102:103 | 2 |
| ბათუმი | 0 | 1 | 3 | 106:135 | 1 |
| სამტრედია | 0 | 1 | 3 | 99:144 | 1 |
| გორი | 0 | 0 | 4 | 81:123 | 0 |

### მეგოლეები

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე ბოყოჩაძე | ქუთაისი | 51 |
| გიორგი წივწივაძე | საუ-მამული | 44 |
| გოჩა მშვიდობაძე | გორი | 40 |
| ზურაბ ურუშაძე | ბათუმი | 38 |
| მიხეილ საჯაია | ქარიშხალა | 36 |
| გიორგი ჭელიძე | საუ-მამული | 32 |
| ირაკლი ქირია | ქარიშხალა | 32 |
| ზურაბ მეხრიშვილი | ბათუმი | 31 |
| ლევან გელაშვილი | თბილისი | 30 |
| გიორგი კობახიძე | საუ-მამული | 30 |
| რატი მსხვილიძე | ჭაბუკები | 30 |
| ალიკ გიორგელაშვილი | თელავი | 30 |

### მეორე ტურის კალენდარი

**24 ნოემბერი**
გორი - ქუთაისი
თელავი - საუ-მამული
სტუ-შევარდენი - ჭაბუკები
ხ.კ. თბილისი - ბათუმი
ქარიშხალა - სამტრედია

**25 ნოემბერი**
გორი - საუ-მამული
თელავი - ბათუმი
სტუ-შევარდენი - ქუთაისი
ხ.კ. თბილისი - სამტრედია
ქარიშხალა - ჭაბუკები

**26 ნოემბერი**
სტუ-შევარდენი - ბათუმი
ქარიშხალა - საუ-მამული
ხ.კ. თბილისი - ქუთაისი
თელავი - ჭაბუკები
გორი - სამტრედია

**27 ნოემბერი** დასვენების დღე

**28 ნოემბერი**
ქარიშხალა - ბათუმი
ხ.კ. თბილისი - საუ-მამული
სტუ-შევარდენი - სამტრედია
თელავი - ქუთაისი
გორი - ჭაბუკები

**29 ნოემბერი**
ხ.კ. თბილისი - ჭაბუკები
ქარიშხალა - ქუთაისი
სტუ-შევარდენი - საუ-მამული
თელავი - სამტრედია
გორი - ბათუმი






# ტაისონს მუშტები ეჭავება

ვინ არ ცნობს მაიკ ტაისონს? ოდესღაც — კონკრეტულად როდის, ცოტა ძნელი გასახსენებელია — „რკინის მაიკად“ წოდებული და სკანდალურად ცნობილი მოკრივე ბოლო დროს ჩრდილში გახლდათ მოქცეული. ზაფხულში მან ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან ბრძოლისას ტრავმა მიიღო და მას შემდეგ რინგზე ადარ გასულა. რინგის სანაცვლად მისმა სახელმა ამ ბოლო დროს მხოლოდ ერთხელ გაიუღერა და ისიც ვიტალი კლიჩკომ ახსენა. გერმანელ-უკრაინელმა პირდაპირ განაცხადა, მე მაიკ ტაისონს ვჯობივარ და ამის დამტკიცებაც ძალმიძსო.

როგორც ირკვევა, ტაისონს თურმე არც უფიქრია აქტიური სპორტისთვის თავის დანებება. ბრიტანულმა გაზეთმა „სანდი ლაიფმა“ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ტაისონი კვლავ გავა რინგზე. მოკრივის მწვრთნელმა, ფრედი რუჩმა განაცხადა — „მე ჩემი აზრი გავუზიარე მაიკს იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა ირლანდიაში ეჩხუბა. ეს იდეა მან მყისვე აიტაცა და მომავალს ენთუზიაზმით უყურებს, თანაც სანამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას ვეცდებით, ჯობს რომ მან რამდენიმე ბრძოლა ევროპაში გამართოს.“

ტაისონის სავარაუდო მოწინააღმდეგედ ისევ კევინ მაიკბრაიდი განიხილებოდა, თუმცა, შესაძლოა, პრომოუტერებმა იგი დენი უილიამსით ჩაანაცვლონ, რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით ნაკლებ ჰონორარს სჯერდება.

**ლადო ფულუკიძე**

# ტოუნის ბიჭების დათეთქვა მოუნდა

ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე ჯეიმს ტოუნი დაშავებული ბიცეპსისგან განკურნებულა და მომავალი წლის დასაწყისში რინგზე დაბრუნებას ფიქრობს. ახლა ისეთ ჭკუაზეა, რომ იქამდე ველარც ითმენს.

გასულ შაბათს ტოუნი ნიუ იორკის რინგზე მსოფლიოს ჩემპიონ კრის ბერდსა და ჯონ რუისის შეხლებს ტელეეკრანის საშუალებით თვალს ადევნებდა. მერე კი აღშფოთებულს უთქვამს, ეს ნაგვიანი კრივი იყო. ახლა პირდაპირ რინგზე ასვლა და ამ ბიჭების ცალი ხელით დათეთქვა მინდაო.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ეს რა ნახა ამერიკამ!

## დევიდ შტერნი: მე თქვენ გიჩვენებთ ჩხუბს

*ასეთი რამ არ ახსოვს შტატების პროფესიული სპორტის ისტორიას. ფეხბურთელები ისედაც ხოცავენ ერთმანეთს, ბეისბოლისტებიც არ აკლებენ ხელს, გუნდი გუნდზეც გაწეულა. ჰოკეიში ხომ საერთოდ დაკანონებულია დაკა-დაკა – თუ ვილაც ორმეტრიანს ფეხებშუა ყვანჯი ჩასჩხირე და იმან საჩხუბრად „გამოგიწვია", მსაჯები იქამდე დააცდიან შენს ცემას, სანამ საშველად ყინულს არ ჩაეხუტები. კალათბურთშიც კარგი გვარიანი მუშტი-კრივები იმართებოდა. კიდევ კარგი, ახმახი ზანგები მოედანზე მხოლოდ ტრუს-მაისურების ამარა არიან, თორემ ქუჩაში ერთმანეთს, ალბათ ტყვიებს დაუშენდნენ*

**სადაც** ბრძოლა და ჯავგურია, ვის გაუკვირდება, იქ ერთმა მეორეს ხელიც მოუნიოს და ჩხუბმა იფეთქოს. მაგრამ ქუჩური დაკა-დაკა მაყურებლებთან და ტრიბუნაზე ავარდნა? ეს რაღაც სიახლეა ამერიკაში.

„საზიზღრობა", „საშინელება", „სიიდან ამდენი სიავე?" — ამერიკელი ხალხი აღშფოთებულია. ასეთი არაფერი გვინახავსო. არგენტინაში და კოლუმბიაში რომ ცხოვრობდნენ, ხშირად ნახავდნენ, მაგრამ ამერიკაში ცხოვრობენ. იქ კი უნახავთ, როგორ დაარტყა, ასე, 30 წლის წინ კერმიტ ვაშინგტონმა რუდი ტომიანოვიჩს და დაახეთქა იატაკზე (ტომიანოვიჩი სიკვდილს ძლივს გადაურჩა); უნახავთ 1986 წლის ფინალში 220-სანტიმეტრიანი ჰიუსტონელი გოლიათი რალფ სიმფსონი როგორ დაერია მთელ „ბოსტონ სელტიქსს". სხვა რა? ისეთი ბევრიც არაფერი... ერთხელ წაქცეულმა და ფოტორეპორტიორზე დაცემულმა დენის როდმანმა ამ საწყალს წიხლი ჩააზილა და 11-თამაშიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა... ლატრელ სპრიუელმა — როცა „ვოლდენ სტეიტში" თამაშობდა — მწვრთნელ ფიჯეი კარლესიმოს ყელში წაუჭირა და მთელი სეზონით ჩამოაცილეს მოედანს...

ამხელა ლიგის ლამის 60-წლიან ისტორიაში დიდი ინციდენტები, როგორც ხედავთ, არც ისე ბევრი გროვდება. მისტერ დევიდ შტერნმა ყველაფერი იდეალურად ააწყო და მოაწყო — კარგი სანახაობა, ბევრი რეკლამა, დიდძალი ფული და ცხადია, წესრიგი, რომლის მცირედით დარღვევაც არავის ეპატიება.

შესავალი გაგვიგრძელდა, მაგრამ იმის თქმა გვინდა, დევიდ შტერნი ყველაფერს ვერ მიხედავს და გულშემატკივარს, როცა ეს მოედანზე ლუდით სავსე ქაღალდის ჭიქის სროლას დააპირებს, ხელში ვერ ეცემა-თქო.

...მიფრინავდა სტუმარი გუნდის მოთამაშეებისკენ ქილები, პოპკორნი, სანთებელები და ნამდვილი სეტყვა — ტრიბუნებიდან ყინულის ნატეხებსაც ისროდნენ.

ეს ამბავი პარასკევს ღამით მოხდა: „ინდიანა პეისერზი" „დეტროიტ პისტონზს" სტუმრობდა. ძველი მეტოქეები არიან, ამ ზაფხულის პლეი ოფში „დეტროიტსმა" „ინდიანა" აღმოსავლეთის ფინალიდან გაავდო, დიდი ფინალში გავიდა და შემდეგ ჩემპიონიც გახდა.

ახლა „ინდიანა" მძლავრობდა. სტუმრებს მატჩი პრაქტიკულად მოგებული ჰქონდათ, მაგრამ მაინც ხისტად ეთამაშებოდნენ მასპინძლებს. შეხვედრის ბოლო წუთზე ინდიანელი რონ არტესტი გადამეტებულად ეუხეშა დეტროიტელ ბენ ვოლესს, ვოლესმა კი თავისი უროსავით მუშტებით გაიწია არტესტზე და მალე ჩხუბში ორივე გუნდის ათამდე მოთამაშე ჩაერთო. მწვრთნელები, მსაჯები, ადმინისტრატორები ამაოდ ცდილობდნენ შუაში ჩადგომას. ვინც დიდი და ჯანიანი იყო, ყველა ცდილობდა უახლოესი მოწინააღმდეგისთვის ყბა მოენგრია. ვინ ფიქრობდა ჯარიმასა და დისკვალიფიკაციაზე...

ბოლოს, ჩხუბი ოდნავ რომ ჩაცხრა, ახლა „ბრძოლის ველზე" დეტროიტელი ფანები გამოვიდნენ და ინდიანელებს ყველაფერი თავზე დააყარეს, რაც ხელში მოხვდათ. ვიღაცამ სკამიც კი გამოისროლა, ხოლო ყველაზე გადარეულთაგან ერთ-ერთმა რონ არტესტს სასმელიანი ჭიქა დაახალა თავში. ისედაც გიჟი და გაფრენილი არტესტი სულ გადაირია და ტრიბუნაზე გავეშებული ავარდა. ჯერმენ ონილი და სტივ ჯეკსონიც მიჰყვნენ და ახლა იქ ატყდა ერთი ამბავი...

მოკლედ, ინდიანელებმა ძლივს გააღწიეს დარბაზიდან.

ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს და სადისციპლინო კომიტეტს ბევრიც არ უფიქრიათ — რონ არტესტი „ინდიანას" ერთ-ერთი ლიდერი და წინა სეზონის საუკეთესო დამცველი მთელი სეზონით მოიკვეთა კალათბურთიდან. სტივ ჯეკსონი 30 თამაშს გამოტოვებს, ჯერმენ ონილი — 25-ს.

შედარებით იოლად გადარჩნენ დეტროიტელები — ბენ ვოლესი ექვსი თამაშით „დაისვენებს", მისი კიდევ ერთი ინდიანელი მტერი ენტონი ჯონსონი კი ხუთით. კიდევ ოთხ მოთამაშეს ერგო თითოთამაშიანი დისკვილიფიკაცია. ამათ შორის არიან დეტროიტელი ჩონსი ბილაფსი და ინდიანელი რეჯი მილერი. საკვირველი ისაა, რომ ჩხუბიდან სუფთად გამოვიდა ნბა-ს ყველაზე შეურაცხადი და გადარეული მოთამაშე, დეტროიტელი რაშიდ ვოლესი.

„ინდიანას", ცხადია, მეტი მოხვდა სტუმრად მაყურებელთან ჩხუბისთვის. წუწუნებენ, მძიმე სასჯელი გვერგოო და ალბათ გაასაჩივრებენ, მაგრამ შტერნი, როგორც ვთქვით, ძიძგილაობას და მსაჯისთვის შებღვერას არავის პატიობს და ახლა ნამდვილად არ წაიღებს უკან თავის სანქციებს.

გამოდის, „ინდიანა" განწირულია. ამ ომის მეორე დღეს „პეისერზი" შინ დაუხვდა შედარებით სუსტ „ორლანდოს" და რა გასაკვირია და, წაავო. მწვრთნელმა რიკ კარლაილმა მოედანზე ხომ მხოლოდ ექვსი მოთამაშის გაყვანა შეძლო.

**კოტე ყორღია**



ფანებთან მოჩხუბარი რონ არტესტი მთელი სეზონით მოიკვეთა





REUTERS ტორონტოდან

ჰიუსტონელი ტრეისი მაკგრეიდი „ტორონტოს" ფარჩვეშეთში შეფრინდა

— 21 ნოემბერი —

**საკრამენტო 88:79 მილუოკი**

საკრამენტო: ბიბი (12), კრისტი (8), სტოიაკოვიჩი (21), ვებერი (18 ქულა, 14 მოხსნა), მილერი (16 ქულა, 12 მოხსნა); სონგაილა (8), ოსტერტაგი (3), ჯეკსონი (2), ბარნსი

მილუოკი: უილიამსი (8), რედი (16), ვან ჰორნი (15), სმიტი (9 ქულა, 10 მოხსნა), გაძურიჩი (7 ქულა, 13 მოხსნა); ჯეიმსი (11), მეისონი (10), სტრიკლენდი (2), ფიზერი (1), ფაჩულია (15 წუთი, 4 მოხსნა, 1 პასი)

**დენვერი 110:82 დალასი**

დენვერი: მილერი (2), ბაკნერი (28), ენტონი (21), მარტინი (19 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (6); ვაიტი (11), ბოიკინსი (10), ნენე (4), რასელი (3), *ცვიტკოვიჩი* (6 წუთი, 2 ქულა, 1 პასი), ელსონი (2), ჯონსონი (2)

დალასი: ჰარისი (15), სტეკჰაუზი (14)

**პორტლენდი 93:97 ჰიუსტონი**

პორტლენდი: რენდოლფი (28 ქულა, 14 მოხსნა), სტუდემაიერი (18)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

ჰიუსტონი: მინგი (19), მაკგრეიდი (16)

**ტორონტო 96:91 სან ანტონიო**

ტორონტო: ალსტონი (20 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ბოში (20 ქულა, 11 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (26)

**ბოსტონი 102:83 სიეტლი**

ბოსტონი: დევისი (25), პირსი (17 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

სიეტლი: ალენი (21), დანიელსი (17)

**დეტროიტი 117:116 შარლოტი**

ძირითადი დრო 103:103

დეტროიტი: ჰამილტონი (30), მაკდაიესი (24 ქულა, 13 მოხსნა)

შარლოტი: კაპონო (25), ბრეჟეეი (22), სმიტი (22)

**მაიამი 93:83 ფილადელფია**

მაიამი: ვეიდი (25), ონილი (19 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება)

ფილადელფია: ჯეკსონი (21), უილიამსონი (18)

**ლეიკერსი 102:93 ჩიკაგო**

ლეიკერსი: ბრაიანტი (29 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ბატლერი (21)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (24 ქულა, 12 პასი), დენგი (21)

**კლიპერსი 111:122 ფინიქსი**

კლიპერსი: იარიჩი (19 ქულა, 10 პასი), მური (18 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: სტუდემაიერი (33), ჯონსონი (23), ნეში (22 ქულა, 18 პასი), მარიონი (22 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ იორკი 98:88 კლივლენდი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (24)

კლივლენდი: გუდენი (25 ქულა, 15 მოხსნა), ილგაუსკასი (21)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 4 | 4 | 50,0 |
| ტორონტო | 5 | 6 | 45,5 |
| ნიუ იორკი | 4 | 5 | 44,4 |
| ფილადელფია | 4 | 6 | 40,0 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 7 | 22,2 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 7 | 3 | 70,0 |
| კლივლენდი | 6 | 4 | 60,0 |
| დეტროიტი | 5 | 4 | 55,6 |
| მილუოკი | 3 | 5 | 37,5 |
| ჩიკაგო | 0 | 8 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 8 | 3 | 72,7 |
| ორლანდო | 6 | 3 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 5 | 4 | 55,6 |
| ატლანტა | 2 | 7 | 22,2 |
| შარლოტი | 1 | 8 | 11,1 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 8 | 2 | 80,0 |
| დალასი | 8 | 3 | 72,7 |
| ჰიუსტონი | 6 | 6 | 50,0 |
| მემფისი | 4 | 6 | 40,0 |
| ნიუ ორლეანი | 0 | 8 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 9 | 2 | 81,8 |
| იუტა | 7 | 3 | 70,0 |
| მინესოტა | 5 | 3 | 62,5 |
| დენვერი | 5 | 5 | 50,0 |
| პორტლენდი | 4 | 5 | 44,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 8 | 2 | 80,0 |
| საკრამენტო | 6 | 4 | 60,0 |
| ლეიკერსი | 6 | 5 | 54,5 |
| კლიპერსი | 5 | 6 | 45,5 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 8 | 20,0 |




REUTERS ᰠᰠᰣᰠᰣᰠᰣ